სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ხოსროშვილი

● №1 (4624) ● 20 თებერვალი ● 2025 წელი ● saxgani@gmail.com ● ფასი 2.00 ლარი

დავით რიჟამაძის სახელობის სკოლა „ივერია“ 26 წლისაა

სიყვარულით დაარსებული და სიყვარულითვე აღორძინებული



***ღმერთი** სიყვარული არსო, ბრძანებს ქრისტეს მოციქული იოანე მახარებელი. ბრძანებს, რადგან ჭეშმარიტად ყოვლისმომცველი უკიდეგანო სიყვარული გარდამოხდა ზეცით. განხორციელებული სიყვარული დადიოდა დედამიწაზე და ყოველი ჩვენგანისათვის, ჩვენი სულების ცხონებისათვის ივნო და დაეფლა. სიყვარული აგვამაღლებსო, ღაღადყოფს რუსთველი; სიყვარულო, ძალსა შენსა, ვინ არს რომე არ მონობდესო, მხარს უბამს გრიგოლ ორბელიანი და მართლაც ხომ სიყვარულია აღმშენებლობის, სიკეთის, კეთილშობილების ანი და ჰაე. და, თუ ბუნებაში ერთნაირად დამუხტული ნაწილაკები განიზიდება, განგების ძალით, ერთი ნებით, ერთი გზნებით, ერთი მრწამსით, ერთი მისწრაფებით განმსჭვალულნი დუღაბდებოდნენ და ასე ერთობლივად მიისწრაფიან მიზნისაკენ. სწორედ ასე შეახვედრა განგებამ ქალბატონი **ნინო გერგიძე** და ბატონი **დავით რიჟამაძე.** შეახვედრა და ერთ სულ და ერთ ხორც ატარა ცხოვრების გზაზე. სამი ვაჟკაცი: **ალექსანდრე, გიორგი და ნიკოლოზი** ამ დიდი სიყვარულის ნაყოფია. მათი მეოთხე პირმშო კი, ჭეშმარიტად, სკოლა „ივერიაა“ 1997 წლიდან რომ დააფუძნეს მართლაც მეუღლეებმა და უდიდესი სიყვარული დააფრქვიეს. და ეს რომ სწორედ ასეა – სკოლა „ივერიაა“ რომ ასე სიყვარულიდან და სიყვარულით არის დაფუძნებული და ასევე განაგრძობს სვლას, ქალბატონი ნინოს გულიდან ამოფრქვეული სტრიქონებიც ჭეშმარიტად ადასტურებს. არა მგონია, ვინმე გულგრილი დარჩეს, როცა ამ წერილს წაიკითხავს და სრულად წარმოესახება რაოდენი სიფაქიზე, პატივისცემა, სიყვარული და თანადგომა სუფევს სიყვარულით დაარსებულ სკოლაში.*

ნინო გერგიძე: „იმ ხანად ძალზე უჭირდა ქვეყანას, უჭირდა სკოლას, სასწავლო პროცესს მრავალი პრობლემა ახლდა, შესუსტებული იყო სწავლების დონე... და დამებადა იდეა, შემექმნა რაიმე ახალი, იქნებ, განსაკუთრებულიც...

ამაში მოიაზრებოდა სიახლეები სწავლებაში, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, ბავშვებისათვის საინტერესო, ხალისიანი, ამასთანავე, მყუდრო გარემოს შექმნა... უსაზღვრო სურვილი მქონდა ჩემეული სკოლა აღსავსე ყოფილიყო ბავშვების დიდი სითბოთი და სიყვარულით... იმდენად დიდი იყო ჩემი სურვილი, რომ მეუღლემ, დათომ გული არ დამწყვიტა, გვერდში ამომიდგა; სიყვარული ხომ ყოვლის შემძლეა... მაშინ სამი წლის სანდროსა და ათი თვის გიორგის მშობლები ვიყავით. ჩვენ ხომ საქართველოს ღირსეული მომავალი უნდა აღგვეზარდა. ამიტომაც დავარქვით სკოლას „ივერია“, საქართველოს ხომ ოდითგანვე ეწოდა ივერია! მალე სკოლის ჰიმნიც შეიქმნა. იგი ჩვენმა ყოფილმა პედაგოგმა, საბავშვო მწერალმა ქალბატონმა **ციალა ამბოკაძემ** შექმნა: „ჩვენ საქართველოს მომავლი ვართ და „ივერია“ გვქვია!“

ნატო ცუცქირიძე დირექტორის მოადგილეა სასწავლო დარგში. ის 23 წლის იყო, როცა სკოლაში მოვიდა. ნატო კვალიფიციური მასწავლებელი, შესანიშნავი ფილოლოგი და მნიშვნელოვანი პიროვნებაა სკოლისთვის. ეს შესანიშნავი ადამიანი ყოველთვის მხარში უდგას, ამშვენებს და აძლიერებს სკოლა „ივერიას“.

გვყავს მოადგილე სამეურნეო დარგშიც – **მაია ნიკოლეიშვილი**, უნიჭიერესი მათემატიკოსი, რომელიც უკვე 20 წელია ჩართულია სკოლის საქმიანობაში და ზრუნავს მისი განვითარებისთვის.

სკოლაში თბილი და კეთილი გარემოა. აქ საუკეთესო და ნიჭიერი მასწავლებლები მუშაობენ. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ **ციური ქენქაძის** ღვაწლი. ის სკოლის მუსიკის მასწავლებელია. დაარსების დღიდან ჩვენს გვერდითაა. იგი უამრავი ღონისძიების ავტორია. მისი შექმნილია სკოლის ჰიმნის მუსიკაც. ეს ნიჭიერი ქალბატონი და მისი მეუღლე **უშანგი (უტო) ჭელიძე** სკოლის ერთგული ადამიანები არიან, დღესაც გვერდში უდგანან და აძლიერებენ.

ამ სკოლაში დაიწყეს პედაგოგიური კარიერა ჩვენმა ფილოლოგებმა: **მაკა ჭიჭინაძემ** და **ნონა ვერულაშვილმა** და უცხო ენის მასწავლებელმა **ქეთი მაჩიტაძემ**. დღეს ისინი სკოლის გამოცდილი, წამყვანი პედაგოგები არიან.

სკოლას ყავს მუდამ მოწესრიგებული მაღალი პასუხისმგებლობის მქონე **ლია ქისტაური** (ბიოლოგია, ქიმია) განათლებული, ერუდირებული **ეკა შილაკაძე** (ინგლისური ენა) მშვიდი, გამოცდილი **ქეთი თალაკვაძე** (რუსული ენა), ინგლისურის ნიჭიერი მასწავლებლები: **მანანა ოკინაშვილი** და **თამთა შენგელია**, პროფესორი **გელა ძამუკაშვილი** (ფიზიკა).

კოლექტივს ალამაზებს აერობიკისა და ტანვარჯიშის მასწავლებელი **ნინო ჩადუნელი**. რეჟისორი **იპოლიტე გაფრინდაშვილი** კი სკოლის მუდმივი მხარდამჭერია.

დაწყებითი კლასების მასწავლებლები **კესო ფიფია** და **ირმა ნაცვლიშვილი** ბავშვებზე უსაზღვროდ შეყვარებულნი არიან.

წელს კი სკოლას ახალი მასწავლებლებიც შემოემატნენ: **მარიამ მათეშვილი** (მათემატიკა), **ნათია ბატიაშვილი** (ქიმია), **ელენე ტეფნაძე** (გეოგრაფია), **ქეთი გორგასლიძე** (სამოქალაქო განათლება), **ნატალი ხადური** (დაწყებითები), **ელენე პატაშური** (ხელოვნება), **თეო ოძელაშვილი** (ხატვა), **ზურაბ ბოკუჩავა** (ჭადრაკი), **კახა ფაჩუაშვილი** და **გიორგი შეროზია** (ისტორია), **მაია ლობჟანიძე** (მეტყველება).

23 წელი ჰყავდა სკოლას არაჩვეულებრივი, შეუდარებელი დამფუძნებელი **დავით რიჟამაძე**. ის ყველას უყვარდა და აფასებდა, დიდია მისი ღვაწლი მოსწავლეებში ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზებაში.

მისი გარდაცვალების შემდეგ ძალიან გამიჭირდა. გამიჭირდა იმ საქმის გაგრძელება, რომელიც ჩვენი დიდი სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის შედეგად 1997 წელს დავიწყეთ. ძნელია ცხოვრება იმ ადამიანის გარეშე, რომელიც ძალიან გიყვარს და გაკლია, ეს სევდა მუდმივია და მონატრებაც თანმდევი.

→ გაგრძელება მე-2 გვ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

დავით რიჟამაძის სახელობის სკოლა „ივერია“ 26 წლისაა

პირველი გვერდიდან

მისი გარდაცვალების შემდეგ სკოლა „ივერია” გახდა **დავით რიჟამაძის** სახელობის.

დღეს სკოლაზე, მის წარმატებაზე მამის სახელზე და მის უკვდავყოფაზე ჩემთან ერთად ჩვენი სამი ვაჟი ზრუნავს: **ალექსანდრე, გიორგი** და **ნიკოლოზი**, რომლებიც ახალგაზრდული შეხედულებებით ნერგავენ მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების თანამედროვე მიდგომებს. მათი მიზანი ერთია – მშობლების მიერ დაწყებული საქმის შემოქმედებითად განვრცობა და იგივე მისიითა და მიზნებით საქართველოს მომავალზე ზრუნვა. ნიკოლოზთან ერთად სკოლაში მისი მეგობარი **ირაკლი პაპაშვილი** მუშაობს.

ამავე, სკოლის III კლასის მოსწავლეა პატარა **დავით რიჟამაძე**, ბაბუის მოსახელე და იმედი. მას ბაბუასავით უყვარს ცეკვა და ხელოვნება.

დავითის გარდაცვალების შემდეგ მთელი კოლექტივი, ოჯახი, რომელსაც „ივერია” ჰქვია, კიდევ უფრო გაერთიანდა. ყველა მხარში მიდგას, რადგან ოცნება, რომელიც დათომ ამისრულა – „ივერია“ კიდევ უფრო გაბრწყინდეს და გაძლიერდეს.

ჩვენი ხშირი სტუმარია ბედნიერების ელჩი, **არსენ ვენეტაძე**, (მას ჯერ კიდევ 2018 წლის 6 ოქტომბერს გერმანიაში, მიუნჰენში საჯაროდ უწოდეს „ბედნიერების ელჩი” და სიგელიც გადასცეს),

არსენი არის პიროვნება, რომელიც, უამრავ სიკეთესთან ერთად, გარშემო ბედნიერებას აფრქვევს, როდესაც მას ვუსმენთ, ვხვდებით, რომ სიყვარულისთვის ვართ მოვლენილნი დედამიწაზე...

22 იანვარს კონფერენციაზე, არსენმა მოულოდნელად გაგვახარა: „ემპათიის, თანაგრძნობის შუქურა” გვაჩუქა, რომელიც უკვე დაიდგა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ჩვენც გვხდა წილად ეს ბედნიერება. მომავალში კი, არსენთან ერთად, სკოლაში ბედნიერებისა და მშვიდობის საელჩოს გახსნას ვგეგმავთ.

ჩვეულებისამებრ, ეს სასწავლო წელიც სიახლით დავიწყეთ – ყოველი თვის 14 რიცხვი, სიკეთის დღედ არის გამოცხადებული.

სიკეთის დღის იდეა ჩვენი სკოლის საყვარელმა პედაგოგმა **ელენე პატაშურმა** მოგვაწოდა, რიცხვი 14 კი ჩვენი დამფუძნებლის **დავით რიჟამაძის** დაბადების დღის პატივსაცემად ავირჩიეთ, ის 14 იანვარს იყო დაბადებული.

სკოლაში 200-მდე ბავშვი სწავლობს. გვაქვს თბილი გარემო, მიღწევები ყველა სფეროში. ყველანი ერთად ვზრუნავთ სკოლის პრესტიჟზეც და საკუთარ ავტორიტეტზეც. ეს კი საერთო წარმატებების მომტანია. მოსწავლეებს ვასწავლით ოცნებას, შემდეგ – ოცნების მიზნად გარდაქმნასა და, საბოლოოდ, მის განხორციელებას.



სკოლა „ივერია!“ — ჩვენ საქართველოს მომავალი ვართ!“

***

მაინცდამაინც ერის ჭეშმარიტად ზეპურ მამებს ნუ შევდრებით. ყოველ ჩვენგანს ძალუძს თავის ადგილზე იმუშაოს ერისა და სამშობლოსათვის და თითო აგური დადოს ქვეყნის აღმშენებლობის ბალავერზე, რისი ჭეშმარიტი დასტური სკოლა „ივერია“ გახლავთ, სადაც, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, დინასტიაც ჩამოყალიბდა – **ალექსანდრე, გიორგი, ნიკოლოზი** და ბატონ შოთა ნიშნიანიძის ომახიან შეძახილს: „ჰეი, ვინ მოდის, მანდ, მომავლიდან!“. ასევე ომახიანად გამოსძახებენ: „ჩვენ, ჩვენ მოვდივართ მომავლიდან და ახლა ჩვენ ვიტვირთავთ მამა-პაპათაგან რუდუნებით, სისხლისღვრით მოღწეულ ნასათუთებ სამშობლოს, ჩვენ განვაგრძობთ ღირსეულად მათ საქმეებს!“

კონსტანტინე ბურბენიძე

მუდამ ძლიერი და ლიდერი

მე-11 სკოლა გუშინ, დღეს, ხვალ...

ამ სათაურით კარგახნის წინათ შეიქმნა წიგნი **„მეთერთმეტე გუშინ, დღეს – რა იქნება ხვალ?“** ავტორები იყვნენ განათლების სამინისტროს თანამშრომელი **ჰამლეტ ჩხენკელი** და ამ სკოლის დირექტორი **რომან მოსეშვილი.** ვაჟა წერდა: „განა ყველა რაც ძველია, კაცისგან საწუნარია?..“ მართლაც, ძველი ყველაფერი დრომოჭმული და გადასაგდებია? ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო, – ნათქვამია.



მაშინდელ სკოლებში ზეიმობდა საგანი **შრომითი სწავლება**. პროფორიენტაციის კუთხით ამაზე უკეთესი მოდელი ჯერ არავის შეუქმნია. მაშინ ვაჟები იღებდნენ: **მშენებლის, ხეზე კვეთის, დურგლის** და სხვა პროფესიას. გოგონები: **მეოჯახეობის, ჭრა-კერვის, ქსოვის, კულინარიის** პროფესიებს.

დღეს ყველაზე მძაფრი პრობლემა ის არის, რომ ავარიულობის გამო მოსწავლეებს, პედაგოგებს მშობლიური ბუდე დაენგრათ. და 207-ე სკოლას არიან შეხიზნულნი. ვიცით, მთავრობა დაჩქარებული წესით ზრუნავს ვითარების გამოსასწორებლად.

მიუხედავად შეჭირვებული გარემოებისა, მამაცური შრომით ღვაწლმოსილი დირექტორი **ნინო ჯაბანიშვილი**, მისი მოადგილეები: **ლორენა კვარაცხელია, ლამარა ბიძინაშვილი,** მთელი კოლექტივი წარმატებებს მაინც აღწევენ.

მცირე ამონარიდი დირექტორთან ინტერვიუდან:

გვყავს 58 უფროსი და 18 წამყვანი მასწავლებელი. სკოლაში ირიცხება 1500 მოსწავლე. დირექტორი **ნინო ჯაბანიშვილი**. დირექტორის მოადგილეები: **ლამარა ბიძინაშვილი, ლორენა კვარაცხელია.**

ჩვენი სკოლა განთქმულია სასკოლო ღონისძიებებით, როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურზე.

დაწყებით საფეხურზე ჩატრდა საშემოდგომო ღონისძიებები ყველა კალსში, ანბანის შემობრძანება პირველ კლასები. საახალწლო ღონისძიებები და ვიქტორინები.

მოსწავლეებს ჰქონდათ გასვლითი არაფორმალური სახის გაკვეთილები სხვადასხვა მუზეუმებში. კერძოდ: ეთნოგრაფიული მუზეუმი, ეროვნული მუზეუმი, ექსპერიმენტარიუმი და ა.შ.

ჩატარდა ტოლერანტობისადმი მიძღვნილი ღონისძიებები დაწყებითდა საბაზო საფეხურზე.

აქტიურად არის ჩართული სკოლის მოსწავლეთა თვითმართველობა სკოლის მართვაში და სიხლეების დანერგვაში.

ჩატარდა **რა, სად, როდის** ვიქტორინა დაწყებით და საბაზო საფეხურზე.

ჩატარდა კითხვის თაროს პროექტის ფარგლებში შიდა სასკოლო კონკურსი, გამარჯვებული გუნდი მიწვეულია წიგნის თაროს გადაცემაში.

ჩვენი მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სპორტულ აქტივობებში. როგროც სასკოლო, ასევე გასვლით ღონისძიებებში. პარაოლიმპიურ ცენტრში ჩატარდა მეგობრული შეჯიბრი უსინთლო შშმ პირებთან.

სკოლაში ფუნქციონირებს **„ღირებულებითი კლუბი“**, რომელიც განათლების სამინიტროსა და საპატრიარქოს ერთობლივი საპილოტე პროექტია. პროექტში მონაწილეობენ საბაზო საფეხურის მოსწავლეები.

ილია ჭავჭავაძის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებაში **„ილიაერის თანმდევი სული”** საბაზო მოსწავლეები მონაწილეობდენენ.

კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა არაერთი ღონისძიება. სკოლაში მოწვეული იყო საბავშვო მწერალი **რუსუდან ნიჟარაძე**.

პატივისცემით,
ნინო

შევაქო ქალბატონი **ნინო ჯაბანაშვილი.**

იოსებ ნონეშვილის მოტივი: ოცდახუთი წელი დირექტორად ამით გასდე სიყვარულის ხიდი. ეს კი უკვე თავდადება არის, ეს კი უკვე გმირობაა დიდი.

მალე მშობლიურ სკოლაში დაბრუნება მომელოცოს თქვენთვის, მეთერთმეტე სკოლელებო!

ბორის მიშველაძე,
პედაგოგის დოქტორი

ახლოს გავეცნოთ 94-ე სკოლას!

თანამშრომლობის იშვიათი მაგალითი

„სოფელს სახელი მაშინ გაუვარდება, როცა იქ დიდი მწერალი დაიბადება“ – წერდა **მიხეილ ჯავახიშვილი**. მე ასე ვიტყოდი: სკოლა მაშინ გაითქვამს სახელს, როცა იქ დიდი დირექტორი მოღვაწეობს.

მაგალითები გნებავთ? რამდენიც გინდათ: **გრიგოლ კობახიძის** სკოლა (77-ე), **აკაკი კივილაძის** (მე-8), რომელ სკოლაში დადიხარო, რომ ჰკითხო, **კამოს** სკოლაშიო (რევოლუციონერი არ გეგონოთ, **კამო სიმონგულოვი** 36-ე სკოლაში მუშაობდა, სადაც დღეს **მაია კვინიკაძე** მოღვაწეობს) და ა.შ.

94-ე სკოლა დიდი ხანია ამაყად ჟღერს პედაგოგიურ სივრცეში, რაც უთუოდ გამობრძმედილი დირექტორისა და ძლიერი პედაგოგების დამსახურებაა.

ღვაწლმოსილი დირექტორი **ნინო გახარია** ჩვენი გაზეთის უღალატო მეგობარია, მუდამ გვეხმარება, ენთუზიაზმით თანამშრომლობს. ერთგული მცველია ილიას მცნებისა: „არ უღალატო ძველ ამხანაგსა, ის შენ აცხოვრებს, მან შენ გაცხოვროს“. უღრმესი მადლობა ქალბატონ ნინოს!

დანარჩენზე ქვემოთ ვისაუბროთ, რომელსაც ასე დავასათაურებ:

წერილი რედაქციას

2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრი დასრულდა, შესაბამისად ჩვენ გავაანალიზეთ ამ პერიოდის შედეგები, მიღწევები და პრობლემებიც.

ვინაიდან სკოლა 2023-2024 სასწავლოო წლის დეკემბერში შეუერთდა ავტორიზებულ სკოლათა დიდ სპექტრს, ჩვენი ვალდებულება უფრო გაორკეცებულად გავითავისეთ და დავიწყეთ სასწავლო პროცესისთვის მეტად მნიშვნელოვანი სასწავლო პროექტების განხორციელება. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ სკოლას ავტორიზაცია მიღებული აქვს 9 წლის ვადით ყოველგვარი მონიტორინგის გარეშე, რაც გვიჩენს გაცილებით მეტ მოტივაციას სასკოლო და სასწავლო პროცესები მაქსიმალური შემართებით წარვმართოთ. სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ სასკოლო გარემოს ორი ძირითადი მიმართულებით ქმნის: ფორმალური და არაფორმალური აქტივობებით. ერთ-ერთი თვალსაჩინო სკოლაა რაიონის მასშტაბით, ამაზე მეტყველებს ჩვენი მოსწავლეების წარმატებები სხვადასხვა პროექტსა თუ კონკურსებში, ასევე ნიშანდობლივია ის, რომ სკოლაში გვაქვს: **კითხვის მოყვარულთა კლუბი „წიგნიერი“, მათემატიკის კლუბი „უსასრულობა“, დებატების კლუბი, ქართული ენისა და ლიტერატურის კლუბი „ლაზარე“, „გოეთეს კლუბი“, კლუბი „ბოიარდი“, მედია კლუბი თავისი ონლაინ ტელევიზიით, ციფრული კლუბი.**

რა თქმა უნდა, ბევრი გამოწვევაა სასწავლო პროცესში და ჩვენი სკოლის 40-მდე წამყვანი და მენტორი მასწავლებელი, სკოლის დირექტორის მოადგილეები **ეკა ლიჩელი-ხერხეულიძე** და **ნარგიზ ქილიფთარი** მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამენ არსებული გამოწვევების გადასალახად. ბევრი დეტალიდან გამოვყოფდი **რემედიაციის პროგრამას**. ჩვენმა სკოლამ ამ პროგრამის განხორციელება აქტიურად წელს დაიწყო. პროგრამაში ჩართული არიან მოსწავლეები, რომელთა გარკვეული სხვა და სხვა მიზეზის გამო, უჭირთ კლასის დონის დაძლევა და საჭიროებენ **დამატებით** მეცადინეობას. ეს პროცესი ორგანიზებულად მიმდინარეობს. ყველა ასეთი მოსწავლე წინასწარ განსაზღვრული გრაფიკით კონკრეტულ საგანში შეუძლია დაესწროს დამატებით გაკვეთილს. ვფიქრობთ, ეს ამ პროცესის შედეგს თვალნათლივ დავინახავთ წლის დასასრულს. ასევე სისტემატურად მიმდინარეობს ურთიერთდაკვირვების გაკვეთილები სკოლაში.

სკოლას აქვს შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელსაც თანდართული აქვს აქტივობების ჩამონათვალი. უამრავი აქტივობიდან გამოვყოფდი 1 სემესტრი საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებელს **ირმა ჯანიაშვილის** გრძელვადიან პროექტს **„ქიმია ჩვენს ცხოვრებაში“**. ამ პროექტის ფარგლებში ღია სივრცეში მოსწავლეებმა შემოგვთავაზეს **„ღვინის ქიმია“**, **„ნაყინის ქიმია“**. **„თაფლის ქიმია“** პროექტი გაგრძელდება მეორე სემსტრშიც.

მეორე სემესტრში გაცილებით მეტი აქტივობაა დაგეგმილი ყველა კათედრის მხრიდან. ეჭვგარეშეა, რომ მომავალ თაობას პროფესიონალი და მოსიყვარულე მასწავლებელი სჭირდება და ვფიქრობთ, რომ ჩვენ ამას ვახერხებთ.

სულ გამარჯვებით გევლოთ, კოლეგებო!

ბორის ხარებავა

ჩვენი სტუმარია 122-ე სკოლა

ყველაფერს აკეთებენ, რაც შეუძლიათ

თბილისის 122-ე საჯარო სკოლა გამორჩეულია უამრავ სკოლათა შორის თავისი მდებარეობით,ინფრასტრუქტურითა და სასკოლო გარემოთი.

სკოლა ორი ძირითადი კორპუსისაგან შედგება. პირველ კორპუსში ძირითადად II XII კლასებია განთავსებული ოთხივე სართულზე.სკოლის მეორე კორპუსში I კლასის მოსწავლეები არიან,რომელთათვისაც ყველანაირი სასწავლო პირობაა შექმნილი.კლასები აღჭურვილია თანამედროვე დონის მატერიალურ-ტექნიკური რესურსით.მეორე კორპუსის მოსწავლეები სარგებლობენ დამოუკიდებელი შესასვლელით. პირველ სართულზე არის საკმაოდ დიდი და ნათელი სპორტული დარბაზი,კალათბურთისა და ფრენბურთის სათამაშოდ.აქვე პირველ სართულზე არის საკონფერენციო დარბაზი ,ხოლო მეორე სართულზე დიდი სააქტო დარბაზი.

ეზოში ორი მოედანია:ერთი ფეხბურთისა და მეორე ჩოგბურთის სათამაშოდ. სკოლაში ხშირად იმართება სპორტული ღონისძიებები,რაშიც მოსწავლეთა უდიდესი ნაწილი მონაწილეობს.

პირველ კორპუსში არის თანამედროვედ აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია, ხოლო მეოთხე სართულის ორი დიდი საკლასო ოთახი დათმობილი აქვს კოლეჯს,რომელშიც ;;სასტუმრო მომსახურება;; ისწავლება,როგორც სკოლის ბაზაზე ჩაშენებული პროგრამა. მე-11 კლასის ბაზაზე მოსწავლეები ჩერთვნენ საპილოტე პროგრამაში.

სკოლას ხელმძღვანელობს საკმაოდ გამოცდილი, თავისი საქმის პროფესიონალი გუნდი: ქალბატონი **მედეა ქოქრაშვილი** სკოლის დირექტორი,დირექტორის მოადგილე ქალბატონი **თეა კვიტატიანი** და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი ბატონი **რამაზ გიორგობიანი**, სკოლას ყავს პროფესიონალი საქმის მწარმოებელი, ქალბატონი **ნინო ბარძიმაძე**, სკოლის ბუღალტერი ქალბატონი **თამარ რჩეულიშვილი** და სკოლის ექიმი ქალბატონი **ლიანა იაშვილი**.

სკოლაში საკმაოდ წარმატებული მასწავლებლებია: მენტორი **ნათელა ბასილია,** წამყვანი პედაგოგები: **მარინე ცხადაძე, მანანა ნეფარიძე, თამარ ბახტაძე, მაია შაყულაშვილი, მაია ბადაშვილი, ნატო მახარობლიძე.**

სკოლას აქვს თანამედროვედ აღჭურვილი ბიბლიოთეკა, ასევე რესურსოთახი სსსმ მოსწავლეებისთვის სრული ინკლუზიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

სსიპ ქალაქ თბილისის 122 საჯარო სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებას.აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეები და პედაგოგები სხვადასხვა ღონისძიებებში,პროექტებსა და გამოფენებში.

სამოქალაქო განათლების ახალგაზრდა პედაგოგები **ანა ტაბიძე** და **სალომე ნებიერიძე** აქტიურად არიან ჩართულნი საქალაქო და რესპუბლიკურ პროექტებში, ტოლერანტობის შესახებ, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის შესახებ და სხვა.

ასევე სარაიონო საფეხბურთო, საკალათბურთო და ფრენბურთის შეჯიბრებებში და წარმატებულნი არიან ამ მიმართებითაც.

რაც შეეხება პირველი სემესტრის შედეგებს,შეიძლება ითქვას,რომ გვაქვს კარგი შედეგები,მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა წარმატებულია ყველა საგანში, თუმცა არის გამონაკლისებიც, ამ კუტეგორიასთან მასწავლებლები აქტიურად მიმართავენ რემედიაციის პროცესს.

სკოლა ცოცხალი ორგანიზმია, მუდმივ განახლებადია მოითხოვს შრომასა და გარჯას. თუ ფეხი არ ავუწყვეთ თანამედროვე საუკუნის გამოწვევებს ისე ვერ მივაღწევთ საუკეთესო შედეგებს.

სწავლა-სწავლების ხარისხის ასამაღლებლად, ქცევის მართვასა და პრობლემების გადაჭრაში აქტიურად არის ჩართული სრული სასკოლო საზოგადოება,რასაც მეტად ეფექტური შედეგი მოყვება.

სკოლა აქტიურად მიყვება განათლების სისტემისა და ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდართით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და თანამედროვე გამოწვევებს.

***

ამ სკოლის ისტორიის ცოდნა აუცილებელია. მომდევნო თაობებმა უნდა იცოდნენ, რომ აქაურ დირექტორებს და პედაგოგებს ამაოდ არ უშრომიათ. ამაოდ არ დაღვრილა მათი ოფლი. უამრავი სასახელო პიროვნება აღუზარდეს სამშობლოს. ამ მოღვაწეთა შორის უთუოდ ერთ-ერთი გამორჩეულია დღევანდელი დირექტორი **მედეა ქოქრაშვილი**. ახალ წელს გილოცავთ, კოლეგებო!

ბორის მიშველაძე,
საქ. დამს. ჟურნალისტი

P.S. რედაქტორის მინაწერი: დიდი მადლობა **მედეა ქოქრაშვილს** უღალატო თანადგომისთვის, დახმარებისთვის, აქტიური თანამშრომლობისთვის.

89-ე სკოლელებს სიახლეებისკენ თვალი უჭირავთ

დირექტორი — მეცნიერების დოქტორი

განგებამ მოუვლინა **მიმოზა ტყებუჩავა** 89-ე სკოლას. მისი წინამორბედიც, **ნანა სოლოღაშვილი** მეცნიერების დოქტორია. იგი ამჟამად დედაუნივერსიტეტში მუშაობს. კარგად მახსოვს ის დრო, როდესაც უნივერიტეტი თანამშრომლობდა საჯარო სკოლებთან. (მაშინ საშუალო ერქვა, რომელიც უფრო სწორია). არც ნანა იტყვის უარს ყურადღება მიაქციოს ყოფილ სკოლას.

მიმოზა ტყებუჩავამ კი უფრო მაღალ რანგში აიყვანა აქ სწავლება-აღზრდის ხარისხი. ამ წარმატებას დირექტორთან ერთად, ძირითადად ძლიერი, პროფესიონალი პედაგოგები განაპირობებენ.

როგორია პირველი სემესტრის შედეგები?

ამას სკოლიდან მოწოდებული ინფორმაციით შევიტყობთ:

89-ე საჯარო სკოლამ 2024-2025 სასწავლოს წლის პირველი სემესტრი მიმდინარეობდა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი მიზნების განხორციელებით.

სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული სწავლების პროცესში. ასევე, სხვადასხვა კათედრის მიერ დაგეგმილ საგანმანათლებლო პროექტებში. ასევე, აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებაში. 2023-2024 სასწავლო წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილეობას იღებდა სსიპ ქალაქ თბილისის N89 საჯარო სკოლის 18 მოსწავლე, მათგან ერთმა მოსწავლემ გაიმარჯვა. ხოლო, სასწავლო ოლიმპიადაში: კინგსი, ევერესტი, ეტალონი მონაწილეობა მიიღო 51 მოსწავლემ, რომელთაგან პირველი ტური წარმატებით გადალახა 48 მოსწავლემ.

კათედრების მუშაობა წელს გამორჩეული იყო იმით, რომ საგნობრივი კურიკულუმების ფარგლებში დაიგეგმა ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები. რაც საინტერესო აღმოჩნდა მოსწავლეებისთვისაც და კათედრებს

შორის მჭიდრო თანამშრომლობას შეუწყო ხელი. მიმდინარე სასწავლო წელს პედაგოგები აქტიურად ახორციელებენ ურთიერთდასწრებას გამოცდილების გაზიარების მიზნით.

თვითმმართველობის წევრების ინიციატივით სკოლაში შეიქმნა სხვადასხვა კლუბი, მათ შორის მათემატიკის, ისტორიის გარდა ამისა, მათივე ინიციატივით განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა, როგორიცაა - ბულინგის წინააღმდეგ მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება, საშემოდგომო ღონისძიება. მათი ინიციატივით მონაწილეობენ ,,დავითიანის" პროექტში და ეხმარებიან სოციალურად დაუცველ ოჯახებს. მათი ინიციატივით, ასევე დაგეგმილია: ოქროს მედლების გადაცემა საზეიმო ვითარებაში. მიმდინარეობს კლასებს შორის ინტელექტუალური შეჯიბრისთვის მზადება, თვითმმართველობა ზრუნავს მოსწავლეთა პრობლემების გადაჭრის გზების დასახვასა და სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებაზე.

სკოლას აქტიურად თანამშრომლობს წამყვან უნივერსიტეტებთან. აღნიშნული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ჰყავდა **20 პრაქტიკანტი**, რომლებსაც მასწავლებლების დახმარებით ჩაუტარდათ არაერთი კონსულტაცია, მიეცათ რეკომენდაციები. სკოლაში პრაქტიკის გავლით მათ საშუალება მიეცათ მასწავლებლის მეთვალყურეობით დაეგეგმათ და ჩაეტარებინათ რამდენიმე გაკვეთილი. სტაჟირების/პრაქტიკის წარმატებით გავლისთვის მათ გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები/ცნობები. ასევე, აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში მოსწავლეები სტუმრობდნენ საუნივერსიტეტო სივრცეში მათთვის საინტერესო ფაკულტეტებს.

დღეისათვის სკოლაში დასაქმებულია 71 მასწავლებელი, რომელთაგან **55** არის უფროსი, 14 წამყვანი, ხოლო **2 მენტორი** მასწავლებლის სტატუსის მქონე.

თბილისის 89-ე საჯარო სკოლაში უნიკალური ინიციატივა განხორციელდა - სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის მასწავლებლის ინიციატივით გამოცხადდა კონკურსი სკოლის ახალი ლოგოს შესაქმნელად, რომელშიც მონაწილეობის მიღება სკოლის ყველა მოსწავლეს შეეძლო. სკოლის სიმბოლოს შექმნაში მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ

კონკურსის ფარგლებში მოსწავლეებს საშუალება მიეცათ წარმოედგინათ როგორც ხელით შესრულებული, ისე ციფრული ფორმატის ნამუშევრები. მთავარი მოთხოვნა იყო ლოგოში სკოლის მდიდარი ისტორიის, საგანმანათლებლო პოლიტიკისა და სასკოლო ცხოვრების ასახვა.

სკოლა ამჟამად არის ადაგილმონაცვლე და იმყოფება **103-ე საჯარო** სკოლაში. სკოლის დირექცია 103-ე საჯარო სკოლის დირექციას თანამშრომლობისთვის. სკოლის სარემონტო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და მალე დავუბრუნდებით ჩვენს სასკოლო სივრცეს.

სკოლა იყენებს ყველა შესაძლებლობას, რათა სწავლების პროცესი მოსწავლეთათვის იყოს მაქსიმალურად ნაყოფიერი, რათა სასწავლო წელი წარმატებით იქნეს დასრულებული.

„იქნებ ინებოს მთავრობამ, რომ დააჩქაროს შენება, თუ ამას მალ მოვესწრებით, არ ვიდარდებდით სხვებზედა" – ვაჟას მოტივზე.

სიხარული თქვენ! გამარჯვება თქვენ! – 89-ე სკოლელებო!

ბორის მიშველაძე

უფრო გაძლიერდით, 36-ე სკოლელებო!

ღვაწლმოსილთა ასპარეზი

ამ სკოლაზე წერილის დაწერას რომ გადავწყვეტ, ასეთი განცდა მეუფლება, თითქოს ჩემს ოჯახში მივდიოდე. რატომ ვარ ასე გაშინაურებული? ბევრი მიზეზის გამო, მაგრამ მაინც მთავარი ორი მომენტია: აქ დამხვდებიან პროფესიონალი პედაგოგები და ჩემი ორმაგი კოლეგა დირექტორი **მაია კვინიკაძე** თანაბრად ძლიერი პედაგოგიც არის და ჟურნალისტიც გახლავთ. ჩვენი გაზეთის ერთგული დამხმარეც არის და თანამშრომელიც. სტატისტიკურად ვიმსჯელოთ პირველი სემესტრის შედეგებზე, რა თქმა უნდა, სკოლიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

36-ე სკოლის ძველი შენობა მდებარეობდა მსროლელის ქუჩის ორ ნომერში. გადმოცემით სკოლა აშენებულია 1900 წელს, მასში მხოლოდ ვაჟები სწავლობდნენ.

თბილისში ქალთა და ვაჟთა სკოლების გაერთიანება აქტიურად დაიწყო 1920-იანი წლების საბჭოთა პერიოდის განათლების რეფორმის ფარგლებში. 1924-1925 წლებში დაიწყო სკოლების თანდათან გაერთიანება, ეს პროცესი სწრაფად დაინერგა მთელ საქართველოში, მათ შორის ჩვენს სკოლაშიც.

სკოლის ახალი შენობის მშენებლობა დაიწყო 1977

წელს, დასრულდა 1980 წლის გაზაფხულზე. სკოლამ ფუნქციონირება დაიწყო 1980 წლიდან.

2022 წელს მოხდა სკოლის სრული რეაბილიტაცია.

სკოლას სხვადასხვა წლებში დირექტორობდნენ: **ქეთევან ჭანიშვილი; ვალიკო ბიწაძე; გოგუცა ნიკოლაიშვილი; ნიკოლოზ ენუქიძე; გივი ხომერიკი** (1974-1984წ.) **კამო სიმონგულაშვილი** (1985-2005); **ქეთევან მელიქიშვილი** (2005 -2014);

დღეს დირექტორია – **კვინიკაძე მაია** (2014 წლიდან), მასწავლებელთა რაოდენობა - 42, მოსწავლეთა რაოდენობა - 461.

2024-2025 სასწავლო წელს გაიხსნა სამი პირველი კლასი.

დირექტორის მოადგილეა – **ქეთევან მელიქიშვილი.**

ჩვენი სკოლის წამყვანი პედაგოგები არიან: **კვინიკაძე მაია; ნიკოლეიშვილი ლეილა; ჩხაიძე მაია; კობიაშვილი მაკა; მამულაშვილი თამარი.**

ამ ფრაგმენტული ჩანაწერის უკან დგას ოფლგამომდინარე შრომა ძლიერი პედკოლექტივისა, რა თქმა უნდა, შესატყვისი შედეგებით. „კიდევ უფრო, კიდევ უფრო აღორძინდი, ჩემო სკოლავ, კიდევ უფრო ბევრი შვილი გამოზარდე სასახელო!"

ბორის კინდღელი

ქებათა ქება 210-ე სკოლას!

„მადლი გფენიათ მარჯვენაზედა!“

წერას რომ შევუდექი, კალამზე მერცხალივით დამიფრინდა ვაჟას ლოცვა: „მადლი გფენიათ მარჯვენაზედა“, „გულითა გაუტეხელნო, მოულალავნო მკლავითა!“ დედაქალაქის გარეუბნის სკოლებს შორის ორი მეგულება ყველაზე წარმატებული, ისინი არაფრით ჩამოუვარდებიან ცენტრის ე.წ. პრესტიჟულ სკოლებს. პირიქით, ბევრი რამით ჯობიან კიდეც. ესენია: 106-ე **(თენგიზ გულორდავა)** და 210-ე სოფელ დიღომში **(რუსუდან კეკელიძე).**

ბედნიერია სკოლა, რომელსაც ძლიერი დირექტორი ხელმძღვანელობს და ბედნიერია დირექტორი, რომელსაც ძლიერი პედკოლექტივი ჰყავს.

ეს ორი მხარე ისე ჰარმონიულად არის შეხამებულ-შეხმატკბილებული, როგორც „ყველი ხაჭაპურში“.

***

მეორე სემესტრი პირველზე უკეთესი იქნება

დირექტორს ვთხოვე, მოკლე სურათი დაეხატა და ეს სათაური მისი პასუხია.

ფრაგმენტულად წარმოგიდგენთ I სემესტრის შედეგების ჩამონათვალს:

მოსწავლეთა თვითმმართველობის საბაზო საფეხურის თავმჯდომარედ არჩეულია მე-9გ კლასელი **სოლომონ ჟამუტაშვილი,** საშუალო საფეხურზე – მე-11გ კლასელი **ლიზი ქობულაშვილი**.

მე-10ა კლასელმა **თეკლა გიგუაშვილმა** ლიტ-კონკურსში კრებულით „მივდივართ“ გაიმარჯვა.

გრძელდება ქველმოქმედება. საშობაო ნობათი **თელოვანისა** და **დიდგორის** ხელმოკლე ოჯახებს გადაეცათ. მე-10ბ კლასელებმა წარმოადგინეს პროექტი **„ქალის როლი საზოგადოებაში“.** მე-9ა კლასელთა აქტივობის ნიმუშია: **„მეფე ერეკლე II-ის შეფასება“.** სხვადასხვა აქტივობები: მე-9ბ კლასელები მცხეთის ისტორიულ ადგილებში. მე-11ბ კლასელთა აქტივობა სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე.

მე-11 კლასელების ღონისძიება ისტორიის კლუბში – **„დავიცვათ წარსული მომავლისათვის“** თემაზე **„აფხაზეთი საქართველოა!“**

„კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი“

ხუმრობა იქით იყოს და სერიოზულად გაზეთის ფორმატმა ბევრი რამის გამოტოვება გვაიძულა. მკითხველო, კარგად ამჩნევთ, რომ ძირითადი აქცენტი გადატანილია მოსწავლეთა **ჩართულობა-აქტივობებზე.**

ახალ წელს გილოცავთ 210-ე სკოლელებო!

ბორის მიშველაძე,
საქ. დამს. ჟურნალისტი



P.S. რედაქტორის მინაწერი:
დიდი მადლობა ღვაწლმოსილ პედაგოგსა და დირექტორს ჩვენს გაზეთში თანამშრომლობისათვის, მხარში დგომისათვის, დახმარებისათვის. **„ოდეს კაცსა დაეჭირვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“.**

202-ე ბაგა-ბაღი

ყოველთვის მოწინავე

ლამაზად და ესთეტურად გაფორმებული ეზო, თვალსმომჭრელად მიმზიდველი შენობის შიდა სივრცე და ინტერიერი, რაც შეეხება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, იგი ყოველთვის მაღალ დონეზეა – ეს თბილისის 202-ე ბაგა-ბაღია, რომელიც ორხევის დასახლებაში მდებარეობს და უბნის ბავშვებისთვის, ყველაზე საყვარელი დაწესებულებაა. დირექტორი **ლალი ოთარაშვილი** შესანიშნავი მენეჯერი და გამორჩეული პიროვნებაა, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის სკოლამდელი აღზრდის სფეროში. საბავშვო ბაღის მოამაგე, თაობების აღმზრდელი ქალბატონი სანიმუშო დედა და ბებიაა. ბაგა-ბაღის წარმატებასა და სიახლეზე, თავად ქალბატონი ლალი მოგვითხრობს.

ლალი ოთარაშვილი: 202-ე ბაგა-ბაღში, სასწავლო წელი საინტერესოდ და შინაარსიანად დაიწყო. ჯგუფები, ეზო-გარემო, მიმდებარე ტერიტორია, ყველაფერი მორთული და გალამაზებული იყო სხვადასხვა ატრიბუტებით. მშობლებსა და პატარებს ყველა თანამშრომელი მხიარულად ეგებებოდა, ჭიშკართან ცეკვა-თამაშით **„მიკი და მინი მაუსი“** ხვდებოდათ. დიდი ზეიმი იყო, ისმოდა მუსიკის ჰანგები, საბავშვო სიმღერები, სრულდებოდა ცეკვები და აერობიკა. მოგეხსენებათ, ბაგა-ბაღის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მუდამ განახლებადია, განსაკუთრებით კი, ამ სასწავლო წელს. რამეთუ, ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, უკვე გავიარეთ ავტორიზაციის პირველი ეტაპი (თვითშეფასება). საბავშვო ბაღის გარე და შიდა სივრცე მოწესრიგებულია. ინფრასტრუქტურის განახლებაზე კი, მუდამ გვეხმარება ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო და მისი ხელმძღვანელი **კახა აბულაძე**. შეიცვალა ეზოს დანადგარები, ფანჩატურები და სათამაშოები. მეტად სასიამოვნო და დიდი მოტივაციის მომცემი იყო სკოლამდელი აღზრდის თანამშრომლებისათვის ხელფასების მომატება, ამით ნამდვილად დიდი სტიმული მოგვეცა და კიდევ მეტის მოლოდინიც გვაქვს.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესშიც სიახლეებია და ბაგა-ბაღი ახალი სააღმზრდელო პროგრამებით საქმიანობს. განახლდა თემატური სახელმძღვანელოები: **„ადრეული განათლების კურიკულუმი (თამაში)“,** პირველი და მეორე ნაწილი, **„რჩევები 6 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლებს“,** ასევე **„სასწავლო-სააღმზრდელო“** პროგრამა. ყველა ჯგუფში ტარდება საინტერესო აქტივობები, თამაშები, სპორტული შეჯიბრებები. ყოველწლიურად იმართება საშემოდგომო, საახალწლო და მუსიკალური აქტივობები. შემოქმედებითი ღონისძიებების მომზადებაში ჩართულები არიან მშობლებიც, ისინი ზრუნავენ საზეიმო გაფორმებაზე, აღსაზრდელთა კოსტუმებზე, საინტერესო შეხვედრებზე.

წარმატებით ხორციელდება **„სასკოლო მზაობის პროგრამა“**, სადაც დამამთავრებელი ჯგუფების აღსაზრდელები და მათი მშობლები მონაწილეობენ ყველა აქტივობაში. შაბათ-კვირას ტარდება გასვლითი ექსკურსიები და პატარები მიჰყავთ თბილისის სხვადასხვა ისტორიულ ადგილებში, კერძოდ, ბოტანიკურ ბაღში, ხელოვნების მუზეუმში, ორბელიანების განახლებულ მოედანზე, კონტაქტურ ზოოპარკში და ა.შ.

პატარების კეთილდღეობაზე, დირექტორთან ერთად, იღვწის დირექტორის მოადგილე **ნინო ბერიძე,** რომელიც ბაგა-ბაღის ყოველ კუთხე-კუნჭულს ამოწმებს და ალამაზებს. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი ყოველთვის მაღალ დონეზეა, მიუხედავად რთული ეპიდემიური სიტუაციებისა, აქ არ შეფერხებულა არცერთი ჯგუფის აქტივობები და სხვადასხვა თამაშ-შეჯიბრებები. ამ პროცესს ენერგიულად უძღვება გამოცდილი, სერთიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ქეთევან ფერაძე**. იგი წლებია, **ლალი ოთარაშვილთან** ერთად, თავს არ ზოგავს აღსაზრდელებისთვის კომფორტული გარემოს შექმნისთვის და შესანიშნავად უძღვება აღმზრდელების, თანაშემწეების საქმიანობას და ზრუნავს მათ დახელოვნებაზე. ამიტომაც, ბაღის წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვთ აღმზრდელებს: **ცისანა დათუნაშვილს, სვეტლანა არუთინიანს, ჟუჟუნა ვარდოსანიძეს, მარინე ორველაშვილს, მანანა ლებანიძეს, ნინო ნავროზაშვილს, ნანა რიჟამაძეს, თამარ ნათობიძეს, ნანა გელენიძეს, მადლენა ბოგვერაძეს.** მათ გვერდით უდგანან აღმზრდელის თანაშემწეები: **ნანა კოშაძე, რეგინა კაზაროვა, ლეილა სიხუაშვილი, თინა გიორგაშვილი, შუქია არღვლიანი, ლამარა დათუნაშვილი, ლილი გრძელიძე, ანაიდა ბალოიანცი, ეთერ დვალიშვილი.** აღსაზრდელთა წარმატებისთვის, განსაკუთრებით ზრუნავს მულტიდისციპლინარული გუნდი: ფსიქოლოგი **მაკა ბაქრაძე**, ლოგოპედები – **ნინო ჩიჩუა** და **ქეთვან ჩინჩალაძე**, სპეც. მასწავლებლები – **მაკა ლევიძე** და **ნინო გელდიაშვილი**. ეს შესანიშნავი გუნდი აქტიურად საქმიანობს და კარგ შედეგებსაც აღწევენ.

საბავშვო ბაღში პატარების შემოქმედებითი უნარის განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევენ. აღსაზრდელთა ესთეტიკურ, მუსიკალურ თუ ქორეოგრაფიულ განათლებაზე ზრუნავენ – **ნატო შულაია, ოლიკო ბერძენიშვილი** და **მარი მამალაძე**. აღსაზრდელთა და თანამშრომლების ჯანმრთელობას, დიდ ყურადღებას აქცევს ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **თამარ დალაქიშვილი**. ჯგუფებში ყოველდღე ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჰასპის HACCP სურსათის უვნებლობის პროგრამის განხორციელებას. კვების პროცესი ერთ-ერთი რთული და საპასუხისმგებლო საქმეა, რომელსაც მრავალი წელია შესანიშნავად უძღვებიან გამოცდილი მზარეულები: **ჯულიეტა მამალაძე, ნათია ოთარაშვილი** და **მზია გვილია**. ბაგა-ბაღს, ერთგულად ემსახურებიან: საქმეთამმართველი **თამარ მოსიძე**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **მაკა სანაია** და მისი მოადგილე **მაია ლაბარტყავა**; ასევე, ტექ. პერსონალი: **ეკატერინე გოგინაშვილი, ჟუჟუნა ტვილდიანი, რუსუდან ჯიმშელაძე, თალიკო დაუთაშვილი** და **ნათია მესხიძე.**

მზად ვართ, ბაგა-ბაღის მთელს გუნდთან ერთად, მომავალი თაობის აღზრდა-განათლებისთვის თავდაუზოგავად ვიშრომოთ და ამ მეტად რთულ, საპასუხისმგებლო საქმეში ჩვენი წვლილი შევიტანოთ – ამბობს **ლალი ოთარაშვილი**, რომელიც თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობით, უდიდეს საქმეს აკეთებს და სხვებისთვისაც მაგალითის მიმცემია.

მზია გოგოძე

როცა საქმეს პროფესიონალები აკეთებენ

კოლეჯი ორიენტირი
577 78 47 46 – 599 27 57 39

„ორიენტირი“ – ცხოვრების სვლა-გეზი



ვგონებ, არქიმედმა თქვა, მომეცით საყრდენი წერტილი და დედამიწას გადავაბრუნებო. დედამიწის გადაბრუნებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ყოველ ჩვენგანს რომ გვჭირდება მტკიცე საძირკველი, რაზეც დაფუძნებულია, ან დაფუძნდება მთელი ჩვენი ცხოვრება, რაც ძირითადად განაპირობებს ჩვენს ადგილს საზოგადოებრიობაში, ხომ ცხადზე-უცხადესია.

ასეც ამბობენ, საცა გინდა იყო, რა საქმესაც ადგე, როცა იქნება, მოგკიდებს უხილავ ხელს შენი ანგელოზი და იქ, იმ საქმეზე დაგაყენებს, რისთვისაც მოგავლინა ამქვეყნად მამა ზეციერმაო.

მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, ღმერთო, მიშველეო. გაანძრიე ხელი და გეშველებაო.

და ხელი რომ სწორად გაანძრიო, ანგელოზსაც გაუადვილო გარჯა, ანდა სულაც აღარ იყოს მისი ჩარევა საჭირო, თადარიგის დაჭერა თავიდანვეა საჭირო, რათა სწორი სვლა-გეზი გვქონდეს. საწყისიდანვე სწორ გზას დაადგე და ასე გახვიდე ბოლოში, თორემ ქართული გამოცანა: „ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე“, სწორედ გზას ნიშნავს და, თუ საბოლოოდ მაინც მიგიყვანს სადმე, საკითხავი სწორედ ისაა, სახელდობრ სად ამოყოფ თავს.

ხომ ცხადია: სიპზე ნერგს ვერ გაახარებ, შენობას სახურავიდან ვერ ააგებ. ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს და სწორედ ეს წესი და რიგი რომ დაამკვიდრო, ადამიანი სწორ გზაზე დააყენო და ასე ატარო, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არათუ მხოლოდ ყოველი პიროვნებისთვის, არამედ ქვეყნისათვისაც, რადგან გზააბნეული, ღობე-ყორეს მოდებული ადამიანი არც თავს არგია და არც ქვეყანას. ამიტომ ცხოვრების მიზნის სწორად განსაზღვრა და ამ მიზნის მისაღწევად სწორი სვლაა ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში სწორადვე დამკვიდრების, პირადი ბედნიერებისა და ქვეყნის მსახურების საფუძველთა-საფუძველი.

სვლა-გეზის განსაზღვრას ორიენტაცია ჰქვია. ეს ლათინური სიტყვაა და სამი მნიშვნელობა აქვს: 1. საკუთარი ადგილმდებარეობის განსაზღვრა რომელიმე წერტილის მიმართ; 2. გარემო პირობებში გარკვევის უნარი; 3. მოღვაწეობის მიმართება განსაზღვრულ მხარეს. ხოლო ორიენტაციიდან ნაწარმოები ორიენტირი კი ვისიმეს დახმარებას ნიშნავს რაიმეში გარკვევაში.

ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, ადვილად წარმოვისახავთ, რაოდენი პასუხისმგებლობა იკისრა პროფესიულმა კოლეჯმა „ორიენტირმა“, როცა ეს სახელი დაირქვა – პროფესიული კოლეჯი „ორიენტირი“. მართლაც, ჯერ ერთი, ერთადერთი ადამიანი რომ დააკვალიანო, სწორი გზის არჩევაში დაეხმარო და მერე ისე ატარო ამ გზაზე, რომ ინტერესი თანდათან გაუცხოველდეს, ყოველდღიურად რწმუნდებოდეს არჩევანის სიკეთეში და ასე მიჰყვე ბოლომდე – კურსის დამავრებამდე – და მის დასაქმებაზეც იზრუნო, დამეთანხმებით, გვარიანი წუთ-წუთიერი დაუღალავი, მიზანმიმართული შემოქმედებითი შრომაა საჭირო და რაოდენ ძნელდება ამოცანა, როცა ასე დასაკვალიანებელ-სატარებელი 300-მდე მოსწავლე გყავს. ანუ, ყმაწვილებმა რომ შენთან სწავლა მოინდომონ, სახელი უნდა შეიქმნა, თვალნათლივ დაანახო აწმყოც – რა პირობებში მოუწევთ სწავლა და მომავალშიც სახელდობრ სად დასაქმდებიან და რომ აუცილებლად დასაქმდებიან. ქვეყანაში რა ვითარებაცაა, როგორი განვითარებული ეკონომიკაც გვაქვს, „ავ თვალს არ ენახვება“ და ამ ვითარებაში კოლეჯის კურსდამთავრებულების დასაქმების პროცენტი 90-ს რომ აღწევს, რაღა ფიცი-მტკიცი უნდა, რომ „ორიენტირში“ ორიენტაცია და მისი „მიმყოლიც“ უმაღლეს დონეზეა. ამ პროცენტის მიღმა გადავიხედოთ: რომელი ჭვადმყოფელი საწარმო, დაწესებულება თუ უწყება მიიღებს დილეტანტს? საქმის ჰაიპარად მცოდნეს? მაშ, „ორიენტირის“ კურსდამთავრებულებს აქვთ ის ცოდნა, რომ პარტნიორმა საწარმო-გაერთიანებებმა სწორედ მის კურსდამთავრებულებს გაუღონ ფართოდ კარები. ეს კი, თავის მხრივ, კვლავ და კვლავ ადასტურებს „ორიენტირის“ მუშაკთა მაღალ კვალიფიკაციასა და პედაგოგიურ ოსტატობას.

კოლეჯის წარმატებულობა კიდევ ერთ ფაქტზე დავაფუძნოთ: კერძო კოლეჯების ასოციაციის რეიტინგული გამოკვლევის საფუძველზე, „ორიენტირმა“ ზედიზედ – 2016-2017 წლებში უმაღლესი შეფასება – 5-ვარსკვლავი დაიმსახურა. ასეთი გამოკვლევა აღარ ჩატარებულა და რომ გამართულიყო, „ორიენტირი“ კიდევ მრავალ ვარსკვლავს მოიპოვებდა. ისიცა ვთქვით, რომ „ორიენტირი“ 1992 წელს დაარსდა და, გავიაზროთ, იქიდან მოყოლებული, რამდენ ათას ახალგაზრდას დააყენებდა ცხოვრების გზაზე. კოლეჯში გამოფენილი მრავალი ჯილდო, სიგელი, სამადლობელი, პრიზი ზემოთქმულის, მთლიანობაში კოლეჯის წარმატებული მუშაობის კიდევ ერთი პირუთვნელი დასტურია.

სათანადო პირობების გარეშე, კოლექტივის მუშაობის მარგი ქმედების კოეფიციენტი შესაძლებელზე დაბალი იქნებოდა. პაგანინის სტრადივარიუსის ვიოლინო რომ არ ჰქონოდა, ასეთი ვირტუოზი ვერ იქნებოდა.

ამიტომ, კოლეჯი გამუდმებით ზრუნავს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისათვის: აუდიტორიები, ლაბორატორიები პროფესიული პროგრამების შესაბამისად არის აღჭურვილი; არის ბიბლიოთეკა, დასასვენებელი სივრცეები, კაბინეტები, სამედიცინო ოთახი, საკონფერენციო

დარბაზი, მუდმივი ინტერნეტი, სპორტული მოედანი. კოლეჯის 5-ვე სპეციალობის სტუდენტები: საექთნო განათლება; ფარმაცია (სააფთიაქო საქმე); საფინანსო სერვისები; კბილის სატექნიკო საქმე, აღმზრდელი (ბაგა-ბაღები), თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკულადაც იწაფებიან შესაბამის პარტნიორ ორგანიზაციადაწესებულებებსა თუ კომპანიებში: „ლიბერთი ბანკში“, „კავკასიის მედიცინის ცენტრში“, კლინიკებში, სტომატოლოგიურ ლაბორატორიებში... ცხადია, ეს ზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების პოტენციალსა და მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე.

ერთიცაა: პრაქტიკანტის პოტენციური დამსაქმებელიც უკეთ გაიცნობს ასევე პოტენციურ მომავალ კადრს და ახალგაზრდაც უკვე კარგად ნაცნობ გარემოში იწყებს მუშაობას, რაც ძალზე აადვილებს მის ადაპტაციას.

სტუდენტების მოტივაციის ასამაღლებლად, მეტი ცოდნა-გამოცდილების მისაღებად და დასასაქმებლად, იმართება სხვადასხვა აქტივობა-ტრენინგი, მასტერკლასი, შეხვედრა დასაქმების

გაგრძელება მე-7 გვ.

როცა საქმეს პროფესიონალები აკეთებენ

მეექვსე გვერდიდან

სააგენტოს წარმომადგენლებთან, სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებები.

წლეულს კოლეჯმა დაიწყო პროგრამა „პროფესიული განათლება – მეტი პროფესიონალი!“ ამ პროგრამის ფარგლებში, გათვალისწინებულია საინფორმაციო შეხვედრები საჯარო და კერძო სკოლებში ქვეყნის მასშტაბით. აი, ასე იჭერს თადარიგს „ორიენტირი“ ყმაწვილების სწორი პროფესიონალური ორიენტაციისთვის.

კოლეჯი სამომავლოდაც იჭერს თადარიგს – მასაჟისტ-თერაპევტის პროფესიის დანერგვას გეგმავს.

კოლეჯს სათავეში უდგას ამ დარგის გამოცდილი მუშაკი, ბატონი **რამაზ მაჭარაშვილი**. ხოლო, როგორც უდგას, ეს მცირე წერილიც ცხადყოფს, რადგან, თუ სათავე წმინდაა, წყაროც ანკარა მოედინება. ანუ, ხელმძღვანელის ცოდნა, გამოცდილება, მონდომება, ორგანიზატორული ნიჭი, ხელქვეითებთან კოლეგიალური, შემოქმედებითი, ურთიერთგაგებასა და ურთიერთპატივისცემაზე აგებული მუშაობა კოლეჯის ასეთი წარმატებების უცილობელი პირობაა. და რომ ეს ლიტონისიტყვა არ გახლავთ, რომ კოლეჯში სწორედ ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების გარემო სუფევს, რომ სტუდენტების აზრს სათანადო პატივს მიაგებენ, ანუ ყმაწვილები არათუ მხოლოდ სწავლობენ, არამედ აქტიურად მონაწილეობენ კოლეჯის ცხოვრებაში, აი, ეს გულის სითბოთი გამჯდარი მაგალითი ადასტურებს: კოლეჯში ყოველწლიურად ირჩევენ „წლის მასწავლებელს“ სასწავლო პროგრამების შესაბამისად და მათ სწორედ სტუდენტები ირჩევენ, რადგან სწორედ ისინი – ვისაც უშუალოდ ასწავლიან პედაგოგები არიან მათი ცოდნის, გამოცდილების, რუდუნების ყველაზე პირუთვნელი შემფასებლები და მასწავლებლისთვისაც აღსაზრდელთა ასეთი შეფასების ტოლფასი ძნელად მოიძებნება.

2023 წელს „წლის მასწავლებლები“ გახდნენ **მანანა სტურუა** და **დეა ზურაბაშვილი;** შარშან: **დავით აფრიდონიძე, ნანა ტალახაძე** და **თამარ ბერიშვილი.**

და კიდევ: ზემოთ დირექტორის, ბატონი რამაზის კოლეგიალობაზე, პედაგოგთა შრომის დაფასებაზე მოგახსენეთ და ამის დასტურიც ინებეთ: დირექტორი ყოველი სასწავლო წლის მიწურულს ასახელებს ღვაწლმოსილ პედაგოგებს. სწორედ ასე უწოდებენ – „ღვაწლმოსილი“. 2023 წელს ასეთები ამ კოლეჯის დამფუძნებელი **ანზორ მაჭარაშვილი** და **რამაზ ბალღოშვილი** გახდნენ; შარშან – **ნათელა გოზალიშვილი, მარიამ ჩაფიძე** და **თამარ შალამბერიძე.**

როცა სასწავლებელში ასეთი გულის სითბოთი გაჯერებული გარემოა, მისი წარმატებები სრულიად კანონზომიერია.

P.S. ამ-და კიდევ ორი კოლეჯის დამაარსებელს ანზორ მაჭარაშვილს ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან ერთ-ერთ საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ერთობლივი მუშაობიდან ვიცნობ. შემოქმედმა და შემართულმა პროფესიონალმა ძალზე რთულ ვითარებაში შეძლო არათუ დაარსება, არამედ სამივე კოლეჯის წარმატებული მუშაობის უზრუნველყოფაც. მის საქმეს ახლა ვაჟიშვილი რამაზი და ქალიშვილი, ასევე კოლეჯის დირექტორი, მეცნიერების დოქტორი სოფიო განაგრძობენ. ასე ჩამოყალიბდა მაჭარაშვილების დინასტია.

გვიმრავლოს გამჩენმა ასეთი დინასტიები!

კონსტანტინე გურგენიძე

201-ე ბაგა-ბაღი

მიზანი - ბავშვების კეთილდღეობაა

თბილისის 201-ე ბაგა-ბაღში პატარებზე ზრუნვასა და მათი განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნას დიდი ყურადღება ექცევა. ამიტომაც, მთელი კოლექტივი დაუღალავად შრომობს და იღვწის იმისთვის, რომ აქ გატარებული წლები აღსაზრდელებს სამომავლოდ საკეთილდღეოდ წაადგეთ და ქვეყნის საუკეთესო მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ. საბავშვო ბაღს სათავეში უდგას უნარიანი და კომპეტენტური დირექტორი **ხათუნა გვენეტაძე**, რომლის მმართველობის პერიოდში, ბევრი რამ გაკეთდა და მოწესრიგდა. ამიტომაც, აღსაზრდელები და მშობლებიც კმაყოფილები არიან.

ხათუნა გვენეტაძე: 201-ე ბაგა-ბაღი ახალ სასწავლო წელს ჩვეული ენთუზიაზმით შეხვდა. აქ სრული მზაობა იყო სააღმზრდელო პროცესის დასაწყებად. ჩვენთან პატარებისთვის ყველა პირობაა შექმნილი, რომ თავი თბილ და სასიამოვნო გარემოში იგრძნონ. დიდი მხარდაჭერა გვაქვს ბაგა—ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **კახა აბულაძის** მხრიდან. ბაღის ინფრასტრუქტურის განვითარება წარმოუდგენელია განხორციელდეს სააგენტოს გვერდში დგომის გარეშე. ყოველწლიურად 10 პროცენტით იმატებდა თანამშრომლების ხელფასი. 2025 წლიდან კი ანაზღაურება უფრო სოლიდური გახდა, რაც თავისთავად მოტივაციაა უფრო ეფექტური მუშაობისთვის. უდიდესი მადლობა თბილისის მერს **კახი კალაძეს** და ჩვენს ხელისუფლებას, ზრუნვისთვის, შრომის დაფასებისთვის, დიდი მადლობა ბაგა-ბაღების სააგენტოს მთელ პროფესიულ გუნდს.

საბავშვო ბაღი ყოველწლიურად მშვენდება და კეთილმოწყობილი ხდება. ეზოში დამონტაჟებულია საბავშვო ატრაქციონები, ულამაზესი ფანჩატურები, ნაირფერი სათამაშოები, სადაც პატარები მხიარულობენ. გარე სივრცეში ტარდება სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები, აქტივობები, მხიარული სტარტები. ბაგა-ბაღს ხშირად სტუმრობს ცირკი და თოჯინების თეატრი.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს შესანიშნავად უძღვება ბაღის მეთოდისტი **ლია მამამთავრიშვილი**, რომელიც თავის გუნდთან ერთად ბევრი ახალი პროექტის სულისჩამდგმელია. სააღმზრდელო პროცესში თანაბრად მონაწილეობს ყველა თანამშრომელი, რამეთუ, კარგად იციან დაკისრებული უფლება-მოვალეობები. საბავშვო ბაღს ემსახურებიან პროფესიონალი აღმზრდელები: **თამარ მაზანაშვილი, თამარ გაბაშვილი, მარინე გვიმრაძე, დინარა ლომიძე, ირინე ზედგინიძე, ლელა დაიაური, მარიზა გოგიშვილი. განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებს ღვაწლმოსილი პედაგოგი ლალი კაპანაძე,** რომელიც, 36 წლის განმავლობაში, უამრავი ბავშვის აღმზრდელია.

ბაღი დაკომპლექტებულია ძლიერი მულტიდისციპლინარული გუნდით, ესენია: ფსიქოლოგი **ნატა ჩხაიძე**, ლოგოპედი **თამარ ადამია** და სპეც. პედაგოგი **ქეთევან ხომერიკი**. ბავშვებს მხიარული ჰანგებით ანებივრებს მუსიკის პედაგოგი **მაყვალა მელქაძე**, თანამედროვე და ხალხური ცეკვებით კი – **თამარ ხვედელიძე**. შექებას იმსახურებენ აღმზრდელის თანაშემწეები: **შორენა გულედანი, ნინო აღნიაშვილი, მალინა ჩაჩიბაია, ნაირა დავითაშვილი, ნინო ბექაური** და **თამარ მურალაშვილი.**

201-ე ბაგა—ბაღს ჰყავს გამოცდილი, პროფესიონალი ჯანმრთელობის და ჰიგიენის უზრუნველყოფის კოორდინატორი **ხათუნა თოთიბაძე**, რომელიც 36 წელია ბავშვების ჰიგიენას და ჯანმრთელობას ემსახურება. ბაღის ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობენ: **ნანა თანანაშვილი, ნინო გიორგაძე, ეკა აღნიაშვილი,** რომლებიც განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელებთან თანამედროვე და სწორი მეთოდებით მუშაობენ და წარმატებით ახერხებენ მათ ინტეგრირებას სასწავლო-სააღმზრდელო პროცესთან.

ბაგა-ბაღის გამართულად მუშაობაში ასევე, აქტიურად მონაწილეობენ: სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **ნელი მურალაშვილი**, დირექტორის მოადგილე **ზაირა იმნაძე**, საქმისმწარმოებლები – **ლელა ჯაფარიძე**, **თამარ ღონღაძე**

და **ნათი მანჭარაული**. უდიდესი ყურადღება ექცევა აღსაზრდელების კვებას. ჰასპის HACCP-ის სურსათის უვნებლობის პროგრამის გათვალისწინებით, მზარეული ნათელა აფციაური და მისი დამხმარეები – **მელანო აღნიაშვილი** და **თინა კალაშიანი**, პატარებს გემრიელ და ხარისხიან საკვებს უმზადებენ. აქ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები ზედმიწევნით კარგადაა დაცულია. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით ჭურჭლის მრეცხავებს: **ირმა მესხს, ლილი ივანოვას, ეკა აღნიაშვილს,** დამლაგებლებს: **მანანა ივანიშვილს, სალომე ზანგურაშვილს, ხათუნა აღნიაშვილს და მაია ლომიძეს.** ბაღის დაცვაზე და უსაფრთხოებაზე ზრუნავენ დარაჯები: **დავით პაპიაშვილი, ლაშა ლომაია, თეიმურაზ შერაზადიშვილი და დამხმარე მუშა დავით აღნიაშვილი**, გამწვანებაზე კი, მეეზოვე **გიორგი ჩოხელი**.

ასე რომ, 201-ე ბაგა-ბაღის წარმატება გუნდური მუშაობის შედეგია და პატარებზე ზრუნვისთვის, მშობლებისგან დიდ კმაყოფილებას იმსახურებენ.

ანანო სამელია

მე-14 სკოლა

ახალი შენობის მოლოდინში

შვილისა და ბინის შეძენის სიხარულს ვერაფერი შეედრება. კარგა ხანია „გადარბენაზე არიან ამ სკოლის მოსწავლეები, მათი მშობლები და პედაგოგები, სხვა სკოლის შენობაში თავშეფარებულნი.

იმედი გვაქვს, მოლოდინს მთავრობა დიდხანს არ გაუგრძელებს.

წინასწარ მადლობას ვუხდით, ვინც წვლილს შეიტანს ამ პრობლემის მოგვარებაში. მიუხედავად ამისა, მაინც გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

პირველი სემესტრის შედეგებზე ქვემოთ გესაუბრებით.

უიმედოდ წუთითაც არ ვიყავით

მიუხედავად რთული პერიოდისა სკოლის თითოეული წარმომადგენელი, დირექცია, მასწავლებლები თუ სასკოლო საზოგადოება ყველა გაგებით ეკიდება აღნიშნულ ვითარებას და უფრო მეტი მონდომებით და შემართებით მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისას აქცენტები გაკეთდა: სასკოლო საზოგადოების წევრების (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია) ინტერესებზე (ანუ სასკოლო თემის პრიორიტეტები); გამოწვევებზე, რომელიც სამინისტროს მოთხოვნების შესრულებას უკავშირდება. სასწავლო პროცესის ხარისხზე ან/და გაუთვალისწინებელ პრობლემებზე, რომელიც წინა წელს სასწავლო პროცესში გამოიკვეთა. სახელმძღვანელოების, სასწავლო რესურსების ხარისხზე (სასწავლო რესურსების შექმნა/ადაპტირება/სწავლა-სწავლების მიზნებთან დაკავშირება); მოსწავლეთა მიღწევებზე / შედეგებზე და მათი მოსწრების გაუმჯობესების გზებზე.

თბილისის მე-14 საჯარო სკოლა ყოველწლიურად ქმნის ახალ კურიკულუმს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურისთვის, რომლის ორიგინალურობაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგადაა აქ ასახული წინა წლის/წლების გამოცდილება და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები.

რაც შეეხება სკოლაში დასაქმებულ თანამშრომლებს:

სკოლის დირექტორი: ქალბატონი **მაკა გიორგაძე**, თავისი საქმის პროფესიონალი, ასევე დაწყებითი კლასის პედაგოგი.

დირექტორის მოადგილე: **მაია ლომიძე,** ასევე თავის საქმის პროფესიონალი.

პედაგოგები – სკოლაში სულ დასაქმებულია 49 მასწავლებელი, აქედან - 6 მასწავლებელი არის წამყვანი: **ლელა ზაქარეიშვილი, შორენა სამაკაშვილი, იათამზე ქოსაშვილი, ქრისტინე კამლაძე, დარეჯან კობალაძე, ნათია მირუაშვილი,** ხოლო დანარჩენი 43 უფროსი მასწავლებელია.

2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრის მნიშვნელოვანი მიღწევებია:

სასწავლო პროცესში გამოვლინდა მოსწავლეთა მაღალი აქტივობა სასწავლო ოლიმპიადებში. წელს ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაზე დარეგისტრირდა 188 მოსწავლე. აგრეთვე მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსებსა და ღონისძიებებში.

პედაგოგების მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

სახელმწიფო ენის კათედრა: ხელმძღვანელი - **ხათუნა ებანოიძე**

ილია ჭავჭავაძის დაბადების დღისადმი მიძღვნილი პროექტები: **ირმა მეხატიშვილი, ხათუნა ებანოიძე, ლელა გლოველი, მედეა პატარაია, ლელა ჯანაშია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა: ხელმძღვანელი – **ლიანა ასათიანი: მაია აფხაზავა, მანანა უსენაშვილი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა: ხელმძღვანელი – **ფატიმა შედანია: ლელა ზაქარეიშვილი, ფატიმა შედანია, ნუნუ ალუღიშვილი.**

უცხოური ენების კათედრა: ხელმძღვანელი – **ლია ხუციშვილი: ნანა სიხარულიძე, მარინე კევლიშვილი**.

დაწყებითი საფეხურის კლასების კათედრა: ხელმძღვანელი – **მარიამ ახალაძე: იათამზე ქოსაშვილი, ქრისტინე კამლაძე, მარიამ ახალაძე.**

ესთეტიკური აღზრდის კათედრა: ხელმძღვანელი – **ლეილა გოქაძე: ლეილა გოქაძე, ნანა თევზაძე.**

სპორტის კათედრა: ხელმძღვანელი – **ნინო ხუჯაძე, გაიოზ ყაჭეიშვილი და იოსებ გელაძე**.

პირველ სემესტრში მაღალი იყო მოსწავლეთა ჩართულობა-აქტივობების პროცესი. აი, რა შეძლებია მონდომებას, შემოქმედებით ძიებას. ვაჟას პერიფრაზი: „ეგებ ინებოს ბატონმა, გაგმარჯვებოდეს მტერზედა, თუ ამას გავიგონებდი, მეც ვიზრუნებდი სხვებზედა“.

მალე გენახოთ შუქი გვიანის ბოლოს!

ბორის ხარებავა

P.S. რედაქტორის მინაწერი: **მაკა გიორგაძე** ჩვენი გაზეთის უღალატო მეგობარია.

მხარში მდგომი, დამხმარე. დიდი მადლობა მას! ასევე 154-ე სკოლის დირექტორ **გიორგი გარსიძეს**, რომელიც მათ თავს საკუთარ ჭერქვეშ აგრძნობინებს.

ზურაბ მამულაშვილი

***

„სკრა, ჩვენი პატარა სამშობლო“.
წმინდაა, ვით დედის ლამაზი მანდილი,
უფალმა ამ სოფელს ცუდი რამ აშოროს,
მსურს, ყველამ შეიცნოს სამოთხე ნამდვილი.
ჩვენ დიდ ოცნებებს ვწერდით ქაღალდზე,
ბედისწერასაც თამამად ვენდეთ,
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე,
მხოლოდ ამ სოფელს შემორჩა დღემდე.
სოფელ სკრის მზე და სოფელ სკრის მთვარე –
დგას ქართლის ველზე, როგორც ტაძარი,
მე, კი, ამ ლექსით სკრასა და სკრელებს
ოქროს სამანი შემოვაწანი.

მეგობრებს

სევდით ვიხსენებ გარდასულ დღეებს,
როდესაც ერთად ვიყავით ძმურად,
ვეფერებოდით მთებსა და ხევებს,
გოგია, გივი, თემო და ზურა.
ვერ მეტყვით, ის დრო, ოდესმე, კიდევ,
განმეორდება, თუ აღარ მოვა,
როცა უბანში სულ გვერდით გვყავდა,
ნუგზარი, კაკო, სერგო და ვოვა.
სიზმარი იყო, თუ ცხადზე-ცხადი,
ჯერ ისევ ბავშვებს სიცოცხლე გვსურდა,
სიკეთე გვსურდა, მშვიდობა გვსურდა
და ეს მშვიდობა ნამდვილად გვქონდა.
არა, არის რა, დედამიწაზე
ბავშვობის გარდა სხვა სილამაზე,
როდესაც შენი დედ-მამის გვერდით,
შენ ბავშვურ დღეებს გაილამაზებ.
მთელი ქვეყანა ჩვენი გვეგონა,
კიარ გვეგონა, ის იყო ჩვენი,
ვცდილობდით, დროზე გამოგვეგონა
რომ გამოგვბმოდა სუყველას ფრთები.
გვსურდა, აფრენა ზევით და ზევით
და თან წაგვეღო პატარა სურა,
რადგანაც ერთად ვიყავით ძმები,
გოგია, გივი, თემო და ზურა.
მერე თანდათან გავიყოლებდით,
უმცროს მეგობრებს სილაღის ფონად,
რომ ჩვენ გიჟურ გზას გამოჰყოლოდნენ
ნუგზარი, კაკო, სერგო და ვოვა.

დარეჯან-თამარ ბებია

ნოქალაქევი

შენს არსობას ვეფერებით,
ნოქალაქევ ალაგო,
ციხე -გოჯო, ძველთა-ძველო,
კოლხთა დედაქალაქო!

დედამოკავ, ლეგენდებით
აკინძულო მძივივით,
იბერიის საგანძურში
ნათობ ოქროს სხივივით!

მიკოტახილ ხევის ქვევით,
რომ ბობოქრობს ტეხურა,
იქ, იბრძოდნენ ლომგულები,
ვისაც ქუდი ეხურა!

სამზღუდე და ქუჯის ციხე,
თქვენს წინ ჩავიმუხლები,
კოლხო, შენ რომ აროს იხევ,
მგლის გიხდება მუხლები!

შენ ტეხურავ, ხის ტოტებ ქვეშ,
ჩეროს მოედინები
და სამ ხმათა, ვით სამება
ჰანგად ბარში იღვრები!

შენ კოლხეთის მშვენება ხარ,
წინაპართა ალაგო,
ციხე -გოჯო, ძველთა-ძველო,
კოლხთა დედაქალაქო!

ეფე

თვენახევრისა რომ იყავ პირმშო,
მაშინ ჩაგიკარ პატარავ გულში,
მე მოწყვეტილი საკუთარ ფესვებს,
„ნანას” გიმღერდი ცრემლებით სულში!

საკუთარ შვილად მიგიღე კარგო,
დრო გადიოდა, ჟამი და ხანა,
მე, აქ სამშობლო მენატრებოდა,
მემღერებოდა; „ჩელა” და „ნანა”.

რამდენჯერ „ნანას” დავიქუხებდი,
ხვიჩას და გოჩას ზმანებას მგვრიდა,
ნეტა... ვინა ხარ, ვისი გორისა?
კითხვები წარსულს ვერაფრით შლიდა.

გულში გიკრავდი, ხელს არ გიშვებდი,
სისხლის ყივილმა დამცვარა ნამით,
შენ, რომ მამლუქთა მოდგმის იყავი,
მე, არ ვეჭვობდი არც ერთი წამით!

გულში გიკრავდი ღამე უძილო,
შენს გულისცემას რითმად ვყვებოდი.
მადლობა უფალს ყველაფრისათვის,
თორემ სიცოცხლით გადაგყვებოდი.

ათი წელია ჩემს გვერდით გძინავს,
აღარ მშორდები დღისით და ღამით,
ვიცი, რომ გიყვარს შენ ჩემი ერიც,
არ დაფიქრდები არცერთი წამით!

მეამაყები ჩემო სიცოცხლევ,
სხვას, რომ არ ჰგავხარ ურჩი და ბილწი,
სადაც წახვიდე ყველგან დაგყვება,
ჩემი ლოცვა და ქართული პეწი.

ჟამი ტიალი გაივლის ეფე და
განშორების მოდგება ხანიც,
მაგრამ გპირდები რომ აგისრულო,
დანაპირები, ის ოქროს წამიც!

სვეტიცხოველი

წუთისოფელში ვხარობთ, თუ გვტკივა,
უფლის დაშვებით ხდება ყოველი,
არაგვისა და მტკვრის შესართავთან,
აშენებულა სვეტიცხოველი!

სამყაროს განძი, კვართი უფლისა,
დავანებულა შენს ცხოველ-მკერდში,
შენ უტა-ლაზის ნაგებო ზენით
და ჩუქურთმებო ნათალო ქვებში!

ჯვრის მონასტერი ამაყად გიდგას,
შენი დიდების გამრცობი მთებში,
აქ ისმის ტკბილი საგალობლები,
სადიდებელნი უფლის ტკბილ ხმებში!

სიყრმის წლებიდან ოცნებად მქონდა,
მოგფერებოდი მუხლ-მოყრით მკერდში,
ჟამთა წარსული მონატრებისგან,
იყო იმედი და რწმენა ჩემში!

ქრისტეს კვართია მარადისობა
და სასოების ურყევი რწმენა,
ჩემი ტკივილი საქართველოა,
ჩემი საუნჯე ქართული ენა!

გმადლობ, უფალო, ღირსი გამხადე
სვეტიცხოველში მუხლის მოყრისა,
შენი კვართი ხომ აქედან იცავს,
ჩემს საქართველოს და რჯულს მოყვრისას!

მომნატრებიხარ ჩემო სამშობლოვ,
სხვაგან ვერ ვპოვე სადარი შენი,
მარადისობის შენ ხარ სამჭედლო
და უკვდავების საყდარი ჩემი!

იოანე აბულაშვილი-ბებაბუშვილი

ახალი წელი

ველოდებით ახალ წელს:
მთელი გულით და სულით,
მონდომებით, შრომით, გარჯით,
დოვლათით და ბარაქით.

მალე მოვა, მობრძანდება,
თოვლითა და ყინვით,
ახალი წელი თენდება,
აგერ მამალი ყივის.

თოფსაც ვისვრით, მაშხალებსაც
ვატკაცუნებთ ხშირად,
საახალწლოდ ნაძვის ხე,
მორთული გვაქვს დიდად.

ბევრი საქმე დაგვიგროვდა
აღარ ვიცით, რა ვქნათ,
ყველაფერს ალღო ავუღოთ
დიდი თოვლი გვფარავს.

ვემზადებით საქეიფოდ
ნაყიდი საჭმელებით:
ფელამუშით, ჩურჩხელებით,
ხორცით, თევზის კონსერვით.

ხშირად ვაცხობთ ლობიანს,
ხაბიძგინას და ნამცხვარს,
ღორის ხორცის ბევრჯერ შეწვა
გვსიამოვნებს მაგრად.

ყოფილიყოს ყველასათვის
ბედნიერების მომტანი:
წარმატების, დასაქმების,
დიდი იმედი მომავლის.

კეთილი სურვილები
აგვსრულებოდეს ამ წელში,
ყოველივე კარგი ვნახოთ
ახალ-ახალ ამბებში.

მშვიდობა და სიწყნარე
დაგვებედოს მუდამ,
წინსვლა, ხალსი გვენახოს
ყოველთვის და სულმთლად.

ამ დალოცვილ წელიწადს
გავიხაროთ ყველას გვინდა,
სიკეთე და სიყვარული
გვქონებოდეს გზად და ხიდად.



ნათელა კუპრაშვილი

მათხოვარი

მიწას ანათებს მკერდსავსე მთვარე,
ქუჩის კუთხეში ძინავს მათხოვარს,
ვერ დაუამა სასმელმა გული,
დროდადრო კრთება და მძიმედ
ოხრავს.

პეწი აღარაქვს დაძენძილ პიჯაკს,
გადაღეღია გულზე საკინძე,
აწყვეტილ ღილებს მთვარე დაეძებს
დილაც ჩამოჯდა – ღამეს აცილებს.

წვიმის სხივებად ჟინჟღლავს წვეთები,
ზეცის დუმილი ასკდება მიწას,
თვალზე კიდია ობოლი ცრემლი
უფალს ავედრებს მთელ დედამიწას.

ავი ფიქრები ღრმად მიაძინა,
კინძავს ოცნებებს გული კეთილი,
სამშობლოს მიწა ისე ატკივდა,
ვით არსაკიძე მკლავმოკვეთილი.

ცისანა ხუციშვილი

იქართველე!

ქართველი ხარ? - იქართველე!
შენს ენაზე იმეტყველე,
იგალობე და იმღერე,
მხოლოდ ქრისტე ღმერთს ემონე!

საქართველოს ემსახურე,
ქართველების ჯიში,
გენი დაამყენ და გაახარე.
ერი შენი გაამრავლე!

თუ დასჭირდა, მას სიცოცხლე
ანაცვალე,
მაგრამ ისე, ზიანი რომ არ მიადგეს
სამშობლოს მომავალს და ერს.
მტერს კი, კისერი მოსტყდეს!

შენი ქვეყნის აპეკუნად
უცხოს ნუ დააყენებენ და
ყველა ღონე იხმარე,
შენი ცუდიც დაფასდეს!

ლიტერატურული გვერდი - ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს!

მანანა მჭედლიშვილი



ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს!

ახალგაზრდობა წლებმა წაიღო,
მალე ჭაღარით შევივერცხლები,
ო, როგორ მინდა ყველამ გაიგოს
რას ჩურჩულებენ ჩემი ლექსები.

ცხოვრების გზაო მოვყვები შენს გზას
და თავდახრილი ვითვლი ნაბიჯებს,
ჩემი ჩურჩული და გულის ფეთქვა
ფეხქვეშ მძინარე ბალახს აღვიძებს.

ო, ღმერთო ჩემო, მოგმართავ ასე
შენთან სათქმელი მიტომ გავბედე,
რადგან გული მაქვს დარდებით სავსე,
რადგან ცოცხალი მოვედი დღემდე.

არ გთხოვ მატარო ვარდების გზაზე,
არც გალობას გთხოვ ბულბულის ხმაზე,
მინდა მზემ ყველას გული გაუთბოს
და ვარსკვლავებიც გაბრწყინდეს ცაზე.

ვერ გამიგია ჩემი ცხოვრება,
რატომ რთულდება უფრო და უფრო,
მხოლოდ ამას გთხოვ, მომეცი შვება,
რომ თავისუფლად ამოვისუნთქო.

ქარის ჩურჩულსაც მე კვნესად ვისმენ,
ლაღად რომ არხევს ბებერ ხის ტოტებს,
ო, გაზაფხულო, დაბრუნდი ისევ
ყინვიან ზამთარს ნუ დამიტოვებ.

უსამართლოა წუთისოფელი

დილა გათენდა ისევ სევდისფერი,
ნისლში გაეხვა ფიქრები უძირო,
ამძირა ფიქრებმა, შორს გამიტაცა,
მე ისევ შევხვდები განთიადს უძილო.

სადღაც ხალისია, ხარობს ბუნება,
ხალისობს ვერხვი ფოთოლთა შრიალით,
სადღაც ბებერ მუხას ფესვი უტირის,
უკვე დაუცლია სიცოცხლის ფიალი.

უცნაურია ბუნება, სამყარო,
სად ნაპერწკალი კოცონად გაღვივდა,
ვინ შესძლებს ცრემლი უთქმელად ატაროს,
ტყეში ტირიფი უთქმელად ატირდა.

სადღაც გაისმის ძუ ლომის ღრიალი,
სადღაც შორს მთაში ირემი ნავარდობს,
სად ვარდი ქცეულა ღობის ნარ-ეკლად,
სად ნარ-ეკალი მაისობს და ვარდობს.

უსამართლოა წუთისოფელი
სიხარულს გზაში ადევნებს ცრემლსა,
დროს ვერ დავიჭერთ, თავისით გარბის.
დღე დღეს მიჰყვება და წელი წელსა.

ცრემლი შვებაა გულისტკივილის
შავ-ბნელ ცხოვრებას როგორ ვუცქირო,
არც რა მრგებია ამ ქვეყანაზე
და იმ ქვეყნადაც წავალ უწილოდ.

დალი ბანცაძე

დამისხით ღვინო

გაქრა ბევრი რამ თვალთახედვიდან,
არც მეგობრობას აღარ აქვს ფასი,
დამისხით ღვინო ძველი ქვევრიდან,
დავაპირქვავო, დავცალო თასი!

არ მინდა ფხიზლად ვუმზირო ყოფას,
მზარავს ყურება ამდენ მზაკვარის,
საკითხავია ყოფნა-არყოფნა,
მიჭირს გაგნება, ჩემი გზა-კვალის

ეს, რა დრო დადგა,მიშველე ღმერთო,
შემაძლებინე თავის გატანა,
ასეთ ყოფაში ძნელია ერთობ -
როცა ბობოქრობს, მძლავრობს სატანა!

დამისხით ღვინო რომ დავდგე ფეხზე,
თავი არ ვიგრძნო ამ სოფლის ხიზნად,
აღარ ვიფიქრებ აღარაფერზე -
ეს დავისახე დღეიდან მიზნად!..

ღ მ ე რ თ ო

ღმერთო, როგორ დამიგრძელდა
გზა, ცოდვიანს, შენამდე...
-ვნატრობ, ნეტავ ფრთები მომცა
და შემეძლოს, ფრენა მე!

ცოდვის მორევს ავცილდე და
არ ჩავიფლო ყელამდე,
სიყვარულის ბუშტებს ცაში-
-შენთან ერთად ვბერავდე.

არავისთან, არ მსურს მქონდეს,
თუნდაც მცირე წყენა მე ,
წვიმის წვეთო, ციდან შენც კი
სიყვარულად მენამე...

ნეტავ, ყველა განსაცდელის
შევძლო, მედგრად, თმენა მე ,
რა ახლო და რა შორია--
ღმერთო, ეს გზა შენამდე!..

სიყვარულის მანტია

მინდა, მხრებზე მუდამ მეცვას-
სიყვარულის მანტია,
ციდან ფიფქები ცვიოდეს,
ქათქათა და ფანტია,

ხელის გულზე მადნებოდე-
ისე, როგორც ფანტელი
და რომ ერთად დავაყენოთ
ტრფობის კორიანტელი!

მერე ზეცად ავიჭრათ და
წამს,ღრუბელი გავფანტოთ,
სიყვარულის ცეცხლი ცაში,
მზესთან ერთად დავანთოთ...

ჩვენს გარშემო ბრუნავდეს და
ტრიალებდეს სამყარო
-და თუ ზენამ შეგვაერთა,
არასოდეს გაგვყაროს!.

მეჩვენება, ყველგან ჩვენი
სილუეტი ხატია,
- ღმერთს მადლობა, მომახურა-
ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს მ ა ნ ტ ი ა !..

ვეძებ მარცვალს

სამყაროში, სიწმინდის და
სიყვარულის, ვეძებ მარცვალს,
ერთი, ორი, სამი, ოთხი---
ხელით კრიალოსანს ვმარცვლავ!

მერამდენედ ჩამოვმარცვლე,
სათვალავი ამერია,
იმ პატარა მარცვლის ძებნით,
გული სულ მთლად დამელია.

ვერსად ვნახე, გამქრალიყო
ციცქნა, პატარა მარცვალი,
აგორებულ მარცვალს მგზავრად
გაჰყოლია---სამართალი...

თუკი, ვინმე მაპოვნინებს,
გულს გავუფენ ფიანდაზად--
და იმ მარცვალს გავაბევრებ,
დაგიბრუნებთ ერთსა, ასად!

ერთი, ორი, სამი, ოთხი--
ხელით კრიალოსანს ვმარცვლავ,
სამყაროში სიწმინდის და--
სიყვარულის ვეძებ მარცვალს!...

მარტო ვარ

ახლა მარტო ვარ ფიქრებგართული,
მთვარე დაჰნათის სარკმელს ზემოდან,
სრულ სიჩუმეში, ისმის გაბმული
ყმუილი, ძაღლის, დაბლა ეზოდან!

წარსულის კარებს ვაღებ, ვერ ვაღებ,
გადავიღალე სულის ამბოხით
ვდგები ხატებთან და სანთელს ვანთებ
იუდას მსგავსი, ყალბი ამბორით.

ხელაპყრობილი ვითხოვ, რას ვითხოვ,
ვიცი? არ ვიცი,.ვერ გავერკვიე
უფალო, შენთან ყოფნით სულს ვითბობ,
არ მიმატოვო, ხშირად მეწვიე!..

გრძნობა, გონება ებრძვის ერთმანეთს,
ტრიალებს, ბრუნავს როგორც დოლაბი,
ღმერთო, შენს კალთის ქვეშ შემიფარე,
გადამაფარე თავზე ოლარი!.

ღამის ოთხია, მალე ცისკარი
შემოაბიჯებს,შემოხსნის სარკმელს,
ბევრი რამ მსურდა და ვერ გითხარი,
გულში ვიტოვებ უამრავ სათქმელს...

ახლა მარტო ვარ ფიქრებგართული,
მთვარე დაჰნათის სარკმელს ზემოდან,
სრულ სიჩუმეში, ისმის გაბმული
ყმუილი, ძაღლის, დაბლა.ეზოდან!..

ფარ–ხმალს ნუ დაყრი

თუკი ცხოვრება გესასტიკება
შენც შეებრძოლე არ შეუშინდე,
ფარ-ხმალს ნუ დაყრი, იარე წინ და
ბრძოლა მოიგო, ამას ეცადე!

შხამს მოგაწვდიან? ძირს გადაღვარე,
შენ აიღე და ასვი შარბათი,
ეს დაიხსომე, რომ უგუნურთან
არ ღირს არასდროს, სჯა და კამათი.

სახე ცრემლებმა თუ დაგინამა,
სხვას არ აჩვენო,წამს შეიმშრალე,
თუ უკუნია, ბნელია ღამე
გქონდეს იმედი,ამოვა მთვარე!

და თუ მოჟამულ ცასაც გახედავ,
არ შეგეშინდეს, გაიმზიანებს,
ცივი დღეებიც გაივლის მალე,
არც გაზაფხული დაიგვიანებს.

თუკი, ბილიკზე მიმავალს სადღაც
ფეხი დაგიცდა და ჩაიმუხლე,
არ გეგონოს რომ დასასრულია,
ღმერთი ადიდე, შენთან მოიხმე!

ჯვარცმას ყოველთვის მოსდევს აღდგომა,
ზამთრის შემდეგ კი გაზაფხულდება,
წუთისოფლისგან მიიღე ტკბობა,
წარსული, იცი? აღარ ბრუნდება!...

მაია ჯაყელი



როგორ არა ვთქვა?

თუნდაც ათასჯერ, როგორ არა ვთქვა?!
როგორ ვიცოცხლო ,რომ არ გიამბო,
სიზმარშიც, ჩემი გამოცანა ხარ
და ცხადშიც შენი სურნელი მათრობს.
რომ შეგიყვარე, როგორ არა ვთქვა?!
რომ ჩემი სულის ანა-ბანა ხარ,
ან ეს გრძნობები, ისე დავმალო
და არ გაგიღო გულის დარაბა.
რომ შეგეზარდე, როგორ არა ვთქვა?!
რითმა ვიპოვე, ნოტიც მზადა მაქვს,
შენ, ჩემი მუზის მსუყე მადა ხარ
და ჩემი სიტყვის ,კონის თამადა.
რომ შეგეკედლე, როგორ არა ვთქვა?!
ფრთები შემასხი, როგორც „სარანჩას"
ბინა დავიდე, შენს გულში მყარად
და შემოგფიცე, რომ არსად წავალ.
რომ შეგეთვისე, როგორ არა ვთქვა?!
უნდა გეფერო გითხრა თამამად,
შენ, ჩემი სუნთქვა ჩემი ძალა ხარ,
ჩემო თბილისო, მე შენთანა ვარ!

უფერო ზეცა

რაღაც უფერო, ფერი აქვს ზეცას,
არც ავდარი და აღარც დარია,
ხანდახან თითქო ტირილსაც ბედავს,
ხან მზე კისკისებს დილაადრიან.
ასდევნებიან ღრუბლებს ნისლები,
თითქოს ჩაყლაპვას ემუქრებიან,
თეთრი ღუნღულა ცისკრის სტუმრები,
ბოშათა ბანაკს ემსგავსებიან.
გზადაგზა ძლიერ სევდიანობენ,
ატირდებიან აბღავლდებიან,
ხან ვარსკვლავებში იკარგებიან,
ხან მთვარის შუქზე ირეკლებიან.
დღესაც უმზეოდ იღვიძებს ზეცა,
მაღალ კლდეებზე წვანან ნისლები,
ჯიქურ შორიდან თვალს გვიკრავს ელვა
და ჭექა-ქუხილს ასტეხს, გპირდებით.
მერე უთუოდ დაბერავს ქარი,
მიურ-მოურევს ღრუბლების განრიგს,
დაუვლის ნისლებს, ჩარეკავს ზღვაში
და ცისარტყელას შვიდფრად გადაშლის.

მინდა ლამაზ ზაფხულს ვგავდე

მინდა ლამაზ ზაფხულს ვგავდე,
ფერადს უდარდელს და მზიანს,
მინდა ყვავილების სურნელს,
ირგვლივ ვაყოლებდე ნიავს.
მინდა, ვფარფატებდე ველად,
ნაზ პეპელასავით მინდა,
ბანს მთები მაძლევდეს ექოდ,
როცა ვიჭიკჭიკებ ტკბილად.
მინდა, ლამაზ ზაფხულს ვგავდე,
მცხუნვარე მზესა და სხივებს,
ჭიტა ვეთამაშო ღრუბლებს,
ხანკი ცისარტყელას შვიდფერს.
ზოგჯერ მოვიღრუბლო უცებ,
ხან ჟუჟუნა ნვიმად ვიქცე,
როცა დედამიწა მიხმობს,
გული გავუგრილო იქნებ?!
მინდა ლამაზ ზაფხულს ვგავდე,
მდინარეებსა და ყანებს,
პურის თავთავების ღელვას
და მასზე შესეულ შაშვებს.
სილაღე და ფრენა მინდა,
მერცხლების ირაო ცაზე,
მინდა ჟრიამული ვიყო,
ცელქი ბავშვებისა ზღვაზე.
მინდა ლამაზ ზაფხულს ვგავდე,
ვარსკვლავა-მთვარიან ღამეს ,
ალიონზე მინდა ისევ,
მზის გვირგვინი მედგას თავზე.
ჰოო, მე მინდა ზაფხულს ვგავდე,
ფერადს, ხალისიანს, მზიანს,
როცა მივილევი ამ წელს,
ისევ მნატრულობდნენ ხშირად.

ლიტერატურული გვერდი

ლია მუმლაძე

დავინდოთ ერთმანეთი

ტყვიას მესვრი, თუ სიტყვას,
ამას არა აქვს ნიში,
ადამიანებს კლავენ,
ძალიან ხშირად სიტყვით!

გთხოვთ გავუფრთხილდეთ
ერთურთს, რადგან არ
ვცხოვრობთ დიდხანს!
“არა კაც კლაო” ვიცით!!!

ტყვიით მოკლავ თუ სიტყვით,
ცოდვაა დიდზე დიდი!!!
მაშ, არ ვესროლოთ ერთურთს
პირზე მომდგარი სიტყვა.
გვიყვარდეს ერთმანეთი,
უფალთან წარვსდგეთ წმინდა.

ღვთისმშობელს

დაგვაფარე ეგ ღვთიური კალთა
ყოვლადწმინდა ღვთისმშობელო
დედავ!
გული კვნესის მუხთალ
წ უ თ ი ს ო ფ ლ ა დ
სანამ აქ ვართ,
აქ ვარსებობთ ერთად...
ბევრი ცოდვა მოგვიტევე,
შ ე გ თ ხ ო ვ თ !
ქვეყნად ყოფნა
არის ძალზე ძნელი...
როცა რამის მოგვარება
გ ვ ი ჭ ი რ ს,
მოგვევლინე!
მე გულწრფელად გელი!
დ ა გ ვ ე ხ მ ა რ ე
დავიმკვიდროთ თავი,
დ ა გ ვ ე ხ მ ა რ ე
გავიკვალოთ გზები.
ძნელი არის აქ ცხოვრება
ძ ნ ე ლ ი,
ნიღბოსნებს და გაუტანელთ
შორის...
სიყვარული მცირე
დარჩა ქვეყნად,
შენს საუფლო დახმარებას ვე-
ლით!!!



ლალი კარიჭაშვილი

პატარა სამლოცველო

დილით ადრე ცისკარს ვხვდები,
მე სიცოცხლით დილა მავსებს,
მზის სხივები გათამამდნენ,
გაიშალნენ ჩემს ლოცვაზე.

ვეძებ მხოლოდ სათნო სიტყვას,
წმინდა სიტყვით გავიხარე,
ჯერ ჩემს გულში თუ არ გაჩნდა,
ვერ ვიპოვი ვერსად გარეთ.

თუ ზედმეტი შემოგკადრე,
შენდობას გთხოვ, მართლა მიმძიმს,
გულწრფელია ჩემი ლოცვა,
მონანული ვდგები ღვთის წინ.

ეს ხმა უფრო მაიმედებს,
სიყვარულით სავსე გულო,
მაპატიე- არის სიტყვა,
უდიდესი საიდუმლო.

დაცემული ცოდვისაგან,
ავდგე, წინ გზა გავაგრძელო,
გულის კართან ავაშენე,
მე პატარა სამლოცველო.

საკუთარს არ ვინდობთ...

ცაზე გაწოლილი შავი ღრუბელია,
ჩვენთან საავდროა, სულიც მშფოთვარეა,
თალხით შემოსილა, თითქოს მძინარეა,
მინა მწუხარე და ცრემლებმდინარეა.
გულში ჩაუმარხეს შვილი გამოზრდილი,
მხოლოდ ერთი არა, ვინ იცის რამდენი,
მათ აქვთ სასიკვდილო, დარტყმა უამრავი,
ძმებისგან, ვინც არის მტრის კვალზე მავალი.
მათ შორის ბევრია სამართალდამცავი.
გვერდით ძმას რომ კლავენ,
ხედავს და თვალს ხუჭავს,
საზარელ ქმედებას, ბოლო აღარ უჩანს,
ისევ ცრუობენ და ხატზე იფიცებენ,
შავზე თეთრიაო, ურცხვად გიმტკიცებენ,
საკუთარს არ ვინდობთ, ჩვენ მტრის გასახარად,
ისევ ვერცხლებს ვითვლით, ქრისტეს ჯვარზე ვაკრავთ.
გონს მოდით, შეწყვიტეთ სისხლი და ომები,
დემონს ურიგდებით და უფალს შორდებით.
ის, ვინც ძმას არ ინდობს, კარგს და ცუდს არ არჩევს,
თავის თავს უმზადებს, უმკაცრეს განაჩენს.
გახსოვდეთ ცხოვრება, რომ მოჰგავს ბუმერანგს,
შვილს რა პასუხს აძლევთ, ან სხვას რას უნერგავთ.
მტერს ვურიგდებით და საკუთარს არ ვინდობთ,
ამის დამნახავი, კარგს რას მოველი მე,
ღმერთო, დაასრულე ცუდი ყოველივე.

მაყვალა გახარია

მამაჩემის სავანე

ჩემი ქოხი მირჩევნია
ჩუქურთმიან სასახლეს,
გალავნიან ეზოს მიჯობს
მამაჩემის სავანე.

დაკოჟრილი ხელებით რომ
შოულობდა ლუკმა პურს,
მაგრამ, მაინც არ იმჩნევდა
და გვჩუქნიდა კეთილ გულს.

„ეზოში ავი- ძაღლია”
რომ აწერენ ჭიშკარზე ,
ჩემი ქოხის ეზო-კარში
სულ შემოდის სინათლე.

ამიტომაც მირჩევნია
ჩუქურთმიან სასახლეს,
პატიოსნად ნაოფლარი
მამაჩემის სავანე.

ოდაბადე

ჩემი ტკბილი ოდაბადე მენატრება,
მამაჩემის ეზო -კარი საიგავო,
ავაყვავებ მამაჩემის სულს ვფიცავარ,
სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს.

ეს თუთის ხე მთელი ჩემი ბავშვობაა,
თითქოს გახმა და ნელ-ნელა ტყდება ტოტი,
არაუშავს, ისევ ახალ თუთას დავრგავ
და თავიდან გამწვანდება ეს წალკოტი.

ღმერთო, ისევ დამაბრუნე ბავშვობაში,
თუნდაც წამით, იმდენ რამეს გავაკეთებ,
უდარდელა, ნებიერა ცელქი ბავშვი
ჩემი სოფლის ყველა კუნჭულს შემოვირბენ.

ისევ მოვრწყავ იმ ყვავილებს, სულ რომ ვრწყავდი,
ჩემი კუთხე ყოველ ღამე მესიზმრება,
მაგრამ, მეც ხომ წავალ ერთ დროს მამასავით,
სხვა ვინ დაწერს მოგონებებს კვლავ რითმებად.

ისევ იყეფს ჩვენს ეზოში ქორფა ძაღლი,
მოვხსნი ურდულს ამ დაჟანგულ რკინის ჭიშკარს,
დაბრუნდება, მამაჩემის მონაგარი
დავბრუნდებით, მამაჩემის საფლავს ვფიცავ.

იუბილე

ანა კალანდაძე - 100

ქართული პოეზიის დედოფალს ანა კალანდაძეს და მის ჭეშმარიტ პოეზიას დრო ვერაფერს აკლებს, პირიქით, უფრო და უფრო ღირებულს ხდის, რამეთუ, მისი უკვდავი შემოქმედება დიდი, მრავალფეროვანი და ღრმაა, ისევე როგორც ქართული ცა „შენ ისე ღრმა ხარ ქართულო ცაო, შენ ისე ღრმა ხარ... სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად შენოსულმა ვერავინ ნახა”... სადაც პოეტი, პატრიოტიზმთან ერთად, ერის არსებით თვისებას -სიდიადეს, ქედუხრელობას, შემწყნარებლობას გადმოსცემს. მის პოეზიაში სიყვარული რომანტიკული - სევდანარევია, იგრძნობა ინტიმი. ,,ლამის სახლში შემოიჭრას თუთა, ლამის წელზე შემომხვიოს ხელი”, სწორედ, რომ სიყვარულზე დაწერილა... რეალურ ცხოვრებაში კი, ღრმა გრძნობებს გავურბოდიო - უთქვამს პოეზიის დედოფალს, რომელიც ფაქიზი ბუნებით და ხასიათის თავისებურებებით გამოირჩეოდა.

ქართველი კლასიკოსი სიცოცხლეშივე იყო აღიარებული სახალხო პოეტად, მისი ლექსები კი, ჩვენს ბავშვობას ლამაზ რითმებად გასდევდა. ანას პოეტური სტილი სისადავითა და ჰარმონიული ფორმებით გამოირჩევა, დაუვიწყარი სიტყვებით, რითმებით, ფრაზებით. თითოეული მისი ლექსი ულამაზეს ფერწერად იშლება და პოეტის საოცრებათა სამყაროში გამოგზაურებს. ამ დიდებული პოეტის პოეზია უპირველესად, ყურადღებას იპყრობს ლექსის სინატიფითა და პოეტური აზროვნების მაღალი კულტურით. ანას შემოქმედების ყველა თემა თუ მოტივი, ლირიკული თვითგამოხატვით ცხადდება და ინტიმურობის ელფერს იძენს. იგი,თავისი ლექსებით ამშვენებს ქართულ პოეზიას და თითოეული ქართველისთვის გამორჩეული შემოქმედია. ანას პოეზია უხვად აისახა მუსიკალურ ხელოვნებაში, მის ლექსებზე დაიწერა შესანიშნავი სიმღერები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ანა კალანდაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა., რომელსაც უძღვებოდა აკადემიკოსი როინ მეტრეველი. საღამოს ესწრებოდნენ მწერლები, მეცნიერები, პოეტის ოჯახის წევრები და ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

ავთანდილ არაბული, აკადემიკოსი: – ანა კალანდაძის სახელი, პოეზია, მისი ყოველი ხსენება, ყველა ქართველის ოჯახში ნამდვილი დღესასწაულია. პირველივე დღიდან, როდესაც ანამ, ჯერ კიდევ სტუდენტმა, საჯაროდ ლექსები წაიკითხა1946 წლის 25 მაისს, ომის შემდგომ, ეს იყო ნამდვილი დღეობა საქართველოში, რომელმაც დიდი ფურორი მოახდინა. მას შემდეგ ანას სახელი დიდი პოეზიის თანავარსკვლავედში ბრწყინავს შეუდარებლად. ის არის განსაკუთრებული და დიდი მნიშვნელობის პოეტი, რომლის ჭეშმარიტ პოეზიას დრო ვერც ფერებს მოაკლებს და ვერც ჟღერადობას, პირიქით, უფრო დიდ მნიშვნელობას შესძენს.

მაყვალა გონაშვილი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე: ანა ის პოეტი იყო, სიცოცხლეშივე დიდი აღიარება ხვდა წილად. მისი ლექსები სიმღერებად მოეფინა ქართულ სულს., რომლის შემოქმედებას დაბერება არ უწერია. ბედნიერი ვარ, რომ ვიცნობდი ამ მაღალთავმდაბალ პოეზიის დედოფალს.

თინა ყანდარელი, ანა კალანდაძის ძმის ცოლი: – ანასთან 45 წელი ერთ ჭერქვეშ ვიცხოვრე. ის ჩემზე 15 წლით უფროსი იყო, მაგრამ ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, მალევე დავმეგობრდით და ერთმანეთისთვის უახლოესი ადამიანები გავხდით. ბედნიერი ვარ, ასეთი სიყვარული გააყოლა ხალხმა და მას არასოდეს დაივიწყებს ქართველი ერი...

ღონისძიებაზე, ანა კალანდაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრა მწერალმა **მაკა ჯოხაძემ,** პუბლიცისტმა **იოსებ ჭუმბურიძემ,** ჟურნალისტმა **პაატა ნაცვლიშვილმა**, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა **დავით შემოქმედელმა**, ჭიათურის და საჩხერის მიტროპოლიტმა **მეუფე დანიელმა** და სხვებმა. პოეტის ლექსები წაიკითხეს თბილისის მე-20 სკოლის მოსწავლეებმა. საიუბილეო საღამოზე, ნაჩვენები იყო **მაკა ჯოხაძის** დოკუმენტური ფილმი – „იდუმალება ანას პოეზიაში”.

მზია გოგოძე

მსოფლიოს ცნობილი ჭირურგი



ლეო ბოკერიას 85-ე საიუბილეო საღამოზე შეხვედრა

2024 წლის 22 დეკემბერს თბილისში **„ოჩამჩირეს კავშირის“** წევრების ხელმძღვანელობით გაიმართა შეხვედრა.

ოჩამჩირეში დაბადებული **ლეო ბოკერიას** საზეიმო დღეს ესწრებოდნენ ლეოს მეგობრები, თანაკლასელები, ახლო მეგობრები, რომლებიც ცხოვრობდნენ სოხუმში, გაგრაში და თბილისში.

ყველას სურდა საიუბილეო ზეიმზე დასწრება. ჩვენს მუზეუმში „ერთობა“ იყო სპეცსტენდი, რომელსაც ალამაზებდა ლეოს სურათები, ლეოს სახელობის თასი, სპეცდამზადებული ექსპონატები, მედლები, სიგელები. ყველაზე სასიამოვნო საჩუქარი ლეოსთვის იქნება ის ბურთი, რომელზეც ავტოგრაფებია: „დინამო“ თბილისის ვეტერანი ფეხბურთელების. დიდი სიამოვნებით დავასახელებ მათ გვარებს: **ოთარ გაბელია, ვოვა გუცაევი, თენგიზ სულაქველიძე, რევაზ ძოძუაშვილი, ზორბეგ ებრალიძე, გიორგი ცაავა, ვახტანგ ქორიძე, გია თავაძე, გელა კეტაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე** და სხვები. ყველა ექსპონატს ლეოს გავუგზავნით **მოსკოვში.**

ეს ლამაზი დღე დავასრულეთ, როგორც ეკუთვნის საქართველოს ტრადიციებს – პურმარილის დალოცვა.

დიდი სიამოვნებით მინდა დავასახელო ის ადამიანები, რომლებიც ესწრებოდნენ ამ შეხვედრას: **თენგიზ ნორაკიძე, თამაზ ჩიქობავა, გივი ჩხეტია, დილარ კემულარია, იმარი ჟვანია, პავლე ქვაჩახია, ნოდარ ჩხარტიშვილი, ამირან დოლიძე, რეზო გერგედავა, ოთარ წურწუმია, თამაზ კალანდია, გია გვაზავა, დევი ფუტკარაძე, არტიომ აკოფოვი, თამაზ ჩხვირკია, მერაბ კვარაცხელია, თემურ ჩიქობავა, გურამ კაკულია, რაულ ჯანაშია, ნოდარ კობახიძე, ვიტალი ბენდელიანი.**

მადლობას ვუხდით აფხაზეთის ტელევიზიას, გაზეთს „სახალხო განათლება+“, **ზურაბ ქობალიას.**

ვულოცავთ იუბილეს ბატონ ლეოს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას.

თენგიზ ნორაკიძე,
სპორტის ოსტატი,
თამაზ ჩიქობავა,
ვიცე პრეზიდენტი.

135-ე ბაგა-ბაღი

აქ მუდამ ხალისიანი გაზაფხულია

თბილისის 135-ე ბაგა-ბაღი გლდანის რაიონის მე-5 მიკრო/რაიონში მდებარეობს. ბაღი **1980** წელს აშენდა, აქვს დიდი, მწვანეში ჩაფლული ეზო, მოწყობილია დასასვენებელი და ბავშვთა გასართობი ატრაქციონების სივრცეები, გარემონტებულია სააღმზრდელო ჯგუფები, მოვლილი და კეთილმოწყობილია გარემო. ბაგა-ბაღის დირექტორ **თამილა ხარშილაძის** ხელმძღვანელობით სწორად წარმართული სააღმზრდელო პროცესი განაპირობებს ამ ბაგა-ბაღის მიმართ დიდ მოთხოვნადობას. ბაღში ფუნქციონირებს **12** ჯგუფი, აქედან 3 – ბაგის და 9 – ბაღის; 5-6 წლიანთა გამოსაშვები ჯგუფები მუშაობენ **სასკოლო მზაობის** პროგრამით, რომელიც ითვალისწინებს პატარების სასკოლოდ მომზადებას.

ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, საუკეთესოდ წარმართავენ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს კვალიფიციური აღმზრდელები: **თეა ზავრადაშვილი, თამარ გორდეზიანი, ეკა ქოიავა, ნათია გელოვნიშვილი, ნათია სადაღაშვილი, ქეთევან მეშველიანი, ირმა ტერაშვილი, სოფიო ლომიაშვილი, მაია ხვედელიძე, შორენა ნიორაძე, მაია სარალიძე, ნინა კარაპეტიანი, ნეტა მერაბიშვილი, მედეა გაფრინდაშვილი, ჟუჟუნა ფეიქრიშვილი;**

აღმზრდელებთან ერთად, სააღმზრდელო ჯგუფებში, ყველა აქტივობაში ჩართულები არიან აღმზრდელის თანაშემწეები: **მანანა მამულაშვილი, სოფიკო ხარაიშვილი, სოფიკო ჭაფოძე, ცირა ჯამალაშვილი, ნანა ბერიზაშვილი, ნათია კოპალიანი, თეა კვესიაშვილი, ეკა ქანაშვილი, ლია ბაკაშვილი, ნინო კაპანაძე, ელზა აბულაძე, ლეილა ჩიტიაშვილი, ნათია ჭიღლაძე, შორენა ბიწაძე, ეკა ბუცხრიკიძე;**

შესაბამისი სივრცე-გარემოს შექმნაზე ზრუნავს მთელი კოლექტივი – დირექტორის მოადგილე **ქეთევან ყოლბაია**, ასევე, მულტიდისციპლინარული გუნდი; სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართულები: მეთოდისტები – **მარინე ხუციშვილი** და **ირმა თაბაგარი**; ფსიქოლოგი **ვიოლეტა მახარაძე**, ლოგოპედი **რუსუდან აბუსერიძე**, სპეც. პედაგოგები – **თამარ ბინკინაშვილი** და **ეთერ მჭედლიძე**;

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მუსიკალურ აქტივობებს, რომლებსაც აღმზრდელებთან ერთად მუსიკის პედაგოგები წარმართავენ. ჩატარდა საშემოდგომო და საახალწლო ღონისძიებები, ბავშვებს გადაეცათ თბილისის მერიის მიერ მოწოდებული საჩუქრები – ტკბილეულის ნაკრები. საგაზაფხულოდ იგეგმება დედის დღისადმი



მიძღვნილი გასართობი აქტივობები; ასევე, მზაობის ჯგუფების აღსაზრდელთათვის მოეწყობა გამოსაშვები ღონისძიება.

ბაგა-ბაღის სუფთა, მოწესრიგებული, დაცული გარემო, საუკეთესო კვება და გემრიელი კერძები კი – ტექნიკური პერსონალის დამსახურებაა. ბავშვებამდე სწორად მიტანილი აღზრდის მეთოდებისა და კოლექტივის შემოქმედებითი ფანტაზიის წყალობით, აქ ხალისიანად მიდის პატარების ცხოვრება.

მაია გუგუნავა

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050
აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე
593 422 258
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედაქტორები

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;
ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N1 (4624)
20 თებერვალი / 2025 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113
9 771987 911009